ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N20

ქ.ზუგდიდი **2 აგვისტო 2023 წელი**
13:00 სთ

2023 წლის 2 აგვისტოს გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე გიორგი სორდია.

სხდომას ესწრებოდნენ: გიორგი სორდია, ირაკლი გოგოხია, თაზო ფაცაცია, თამუნა ჯიქია, ჯონი ჯიქია, დავით ფიფია, გიორგი კორტავა, დავით ვეკუა, დარეჯან გაბედავა, ლაშა ბეჭვაია, მაია კალანდია, ბეჟან შანავა.

სხდომას არ ესწრებოდნენ: გიგა ფარულავა (შვებულება), კახაბერ ჩანგელია, ოთარ ქადარია, სოსო გოგოხია.

სხდომას ასევე ესწრებოდა: ბესიკ ჭეჟია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე; **.....**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსის მოადგილე; **.....**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის განყოფილების უფროსი; **.....**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური სერვისების და ბუნებრივი რესურსების განყოფილების უფროსი; **.....**-ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრის“ დირექტორის მოადგილე; **.....**-ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრის“ შესყიდვების სამსახურის უფროსი; **.....**-რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ცენტრი „თანაზიარის“ დირექტორი; **.....**-სოფ.დარჩელის უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარე.

სხდომის მდივანი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ----------.

სხდომის დაწყებამდე კომისიის წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის შემდეგ სხდომას ესწრებოდა კომისიის 16 წევრიდან 12 წევრი.
კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 (ერთი) ცალი გარე განათების ბოძის ნაწილის შპს ..... სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

   მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

   თანამომხსენებელი: .....-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსის მოადგილე

2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით შპს ..... გაცემისა და ქირის წლიური

საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: .....-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსის მოადგილე

3. საზოგადოებრივი გაერთიანება ,,ზუგდიდი-სოფელ დარჩელის უხუცესთა საბჭო-ს" ინიციატივა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დარჩელის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში მდებარე შინმოუსვლელთა სკვერისა და ობელისკის სახელდების თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

4. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. ინგირში მდებარე უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის (უპირობო) ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: .....-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსის მოადგილე

5. ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების თაობაზე" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N42 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: .....-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსის მოადგილე

6. ,,ქუჩების, შესახვევების და ჩიხების დასახელების და მდებარეობის მანიშნებელი ორმხრივი (ორი ცალკეული აბრა ერთმანეთთან მიერთებით) დიდი აბრის ბოძით" ნიმუში (ესკიზი).

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

7. ''საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 7 მარტის N20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის

საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: .....-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის განყოფილების უფროსი

8. ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: .....-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის განყოფილების უფროსი

9. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (2021 წლის 17 სექტემბრის აღნაგობის (პირობით) N1 ხელშეკრულების საფუძველზე) მეაღნაგე - ა(ა)იპ ,,რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ცენტრი თანაზიარისთვის" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან განთავისუფლებაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: .....-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსის მოადგილე

10. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრის" ბალანსზე რიცხული მოძრვი ქონების (მუყაოს ქაღალდის) განმეორებითი ელექტრონული აუქციონის (უპირობო) ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრისათვის" თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: .....-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსის მოადგილე

11. სხვადასხვა საკითხები.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს კენჭი ეყაროს სხდომის დღის წესრიგს წარმოდგენილი რედაქციით.

კენჭისყრის შედეგად კომისიის წევრებმა დღის წესრიგს მხარი დაუჭირეს ერთხმად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცხრე საკითხი რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ცენტრი „თანაზიარის" დირექტორის ..... თხოვნით (სამსახურეობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე) კომისიამ განიხილა პირველ საკითხად.

კომისიის ოქმი დალაგებულია დღის წესრიგში საკითხების თანმიმდევრობის/ნუმერაციის მიხედვით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **პირველ საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 11 ივლისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423192117 მომართვა (რეგისტრაციის N12-252319210-25 11.07.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 (ერთი) ცალი გარე განათების ბოძის ნაწილის შპს „-------“ სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 36-ე მუხლის მე-4 პუნქტის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის ოქმის N10 (30.06.2023წ) და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 11 ივლისის N24-2423192117 წერილის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქ.ზუგდიდი კ.გამსახურდიას ქ.N219-ის მიმდებარედ (ს.კ ---------) 1 (ერთი) ცალი გარე განათების ბოძის ნაწილზე მიმანიშნებელი სარეკლამო მანათობელი აბრის (ზომით 0.7X0.7) შპს „.....“ სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით 2 წლის ვადით გაცემაზე. გარე განათების ბოძის ნაწილის წლიური საფასური განისაზღვროს 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი წინადადებები ან შენიშვნები პირველ საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკითხზე

მომხრე: 5 (ირაკლი გოგოხია, ოთარ ქადარია, გიორგი კორტავა, დავით ვეკუა, ბეჟან შანავა)

წინააღმდეგი: 8 (გიორგი სორდია, კახაბერ ჩანგელია, თამუნა ჯიქია, დავით ფიფია, სოსო გოგოხია, დარეჯან გაბედავა, ლაშა ბეჭვაია, მაია კალანდია).

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 (ერთი) ცალი გარე განათების ბოძის ნაწილის შპს „.....“ სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეორე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 13 ივლისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-242319479 მომართვა (რეგისტრაციის

N12-25231942-25 13.07.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით შპს ,,--------" გაცემისა და ქირის წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" პუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 13 ივლისის N24-242319479 წერილის საფუძველზე, მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქი ზუგდიდი, ზვ. გამსახურდიას გამზირზე მდებარე 10740,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N-------) 12,00კვ.მ და ქალაქი ზუგდიდი, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 2931,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N----------) 10,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები გასცეს ..... სარგებლობაში, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით 5 (ხუთი) წლის ვადით. საიჯარო ქირის წლიური საფასურის ოდენობა 12,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განისაზღვროს 5 760 (ხუთი ათას შვიდას სამოცი) ლარის ოდენობით, ხოლო 10,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე 4 800 (ოთხი ათას რვაასი) ლარის ოდენობით.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს და მერიის წარმომადგენლებს გამოთქვან თავიანთი წინადადებები ან შენიშვნები მეორე საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ბესიკ ჭეჟიამ განაცხადა: „ზოგადად საკითხის განხილვა ჯერ ხდება არქიტექტურის სამსახურში და შემდეგ გადადის ქონების მართვაში. აღნიშნული კომპანია თავიდან რომ შემოვიდა წინადადებით და წარმოადგინა ესკიზები, ამაზე პასუხი იყო უარყოფითი, რადგან მერიას დასახული აქვს გეგმა, რომ ზუგდიდში თუ განთავსდება ჯიხურები, ის უნდა იყოს ქალაქის იერსახესთან შესაბამისობაში, გამომდინარე აქედან, ჩვენი არქიტექტურის სამსახურის მიერ იქნა შეთავაზებული დაახლოებით 20 სახეობის ესკიზი, რაც არის ევროპის ქვეყნებში მიღებული. მათგან შემდგომში 2 სახეობის ესკისზე იყო ბჭობა და საბოლოოდ გადაწყდა დღეს აქ წარმოდეგენილი ჯიხურის ესკიზის განთავსება, რადგან ეს ესკიზი უფრო მისაღები და ლამაზი აღმოჩნდა არქიტექტურულად. ეს არის მარტივი, დასადგმელი კონსტრუქცია, რომელიც დაახლოებით 20 000(ოციათასილარი) ლარი ჯდება, თან ხელშეკრულებაში ჩადებული იქნება პირობა, იმისა რომ ნებისმიერ დროს მერიას თუ დაუდგება საჭიროება, ერთი თვით ადრე აცნობებს მეპატრონეს და ის ვალდებულია ყოველგვარი პირობის გარეშე აიღოს და მოაშოროს იმ ტერიტორიას. ეს პირობა ყველა ხელშეკრულებას უდევს მერიას. ეს იქნება პირველი შემთხვევა, როცა ახალი სტანდარტის ჯიხური დაიდგმება ქალაქში. მსგავსი პრეცედენტი ჯერ ზუგდიდში არ გვქონია."

აზრი გამოთქვეს: დარეჯან გაბედავამ აღნიშნა: „ეს ჯიხური, რომელიც უნდა დაიდგას რამდენი კვადრატული მეტია."

აზრი გამოთქვეს: ბესიკ ჭეჟიამ განმარტა: „აღნიშნული ჯიხური არის 10-12 კვ.მეტრი. აუდიტმა საკმაოდ ძვირი შეფასება დაადო და თან, ის არის პრეცენდენტული, როდესაც კომპანიები შემოდიან წინადადებით ითხოვენ მხოლოდ სეზონურად გადაიხადონ იჯარის ქირა, ამ შემთხვევაში კომპანია თანახმაა მთელი წლის განმავლობაში გადაიხადოს იჯარის თანხა, რაც დაადგინა აუდიტმა და ეს მცირე თანხა არ არის."

აზრი გამოთქვეს: დავით ვეკუამ აღნიშნა: „ბატონო ბესიკ, ქალაქის განტვირთავზე უნდა ვიზრუნოთ და არა დამახინჯებაზე, თქვენ კიდევ ქალაქის ცენტრში, ორ ადგილას ჯიხურების განთავსებას აპირებთ, მით უმეტეს 5 წლის ვადით. ამით ტენდენცია დამკვიდრდება და ხვალ, ზეგ კიდევ ვინმე შემოვა მსგავსი წინადადებით. ჯიხურების ქალაქად გვინდა რომ ვაქციოთ ზუგდიდი? ეს სეზონურად რომ იყოს ამ შემთხვევაში მხარს დავუჭერდი ამ საკითხს, მაგრამ 5 წლის ვადით ქალაქის ცენტრში იჯარით მიწის ნაკვეთის გაცემა არის კატეგორიულად მიუღებელი ჩემთვის."

აზრი გამოთქვეს: ბეკის ჭეჟიამ განაცხადა: „მიგვაჩნია, რომ სამწუხაროდ ის უმსგავსობა, რაც დღეს ხდება ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მართლა აუშნოებს იერსახეს. ჩვენ ნელ-ნელა უნდა წავიდეთ ამის მოწესრიგებისთვის. არც ერთი ჯიხური ნებართვის და საკრებულოს თანხმობის გარეშე ქალაქს არ შეემატება. ვცდილობთ რაც შეიძლება უმტკივნეულოდ მოვაგვაროთ ეს პრობლემა, რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მიადგეს ჩვენს მოსახლეობას, თუნდაც მათ, ვინც იქ უკანონოდ ეწევიან საქმიანობას. ჩვენ თუ ქალაქში არაფერს არ დავდგამთ გამოდის რომ ქალაქი იქნება მარტო შენობები. ევროპის ნებისმიერ ქვეყნის დედაქალაქში რომ გაიაროთ ყველგან დგას კოხტა, ლამაზი კონსტრუქცია თუნცად ნაყინის, წვენების და ა.შ. ჩვენ ვფიქრობთ რომ კარგ საქმეს ვაკეთებთ. "

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „ნაყინი არის კულტურა, ესთეტიკა. ევროპის ყველა ქვეყანაში ნახავთ ამას. მაგალითისთვის შემიძლია მოგიყვანოთ პარიზის ოპერის შენობა."

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხიამ აღნიშნა: „შენობაც და ფასადიც მომწონს, მეორე სკოლის მიმდებარედ ლოკაციაზე არ მაქვს პრობლება, მაგრამ მაინტერესებს მეორე ლოკაცია კონკრეტულად სად არის?"

აზრი გამოთქვეს: მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსის მოადგილემ **განმარტა:** „მეორე ლოკაცია არის ბაზრის წინ მდებარე სოციალური სააგენტოს შენობის წინ. რაც შეეხება 5 წლის ვადას, თუ რა იყო მოტივაცია და ჩვენი დასაბუთება რა არის-ეს კონსტრუქცია კი არის მარტივი და არ მაგრდება, მაგრამ როდესაც ბიზნესი შესაბამის ინვესტიციას ახორციელებს, მას რაღაც რისკები შეფასებული აქვს. კი, ზამთაშიც არის ნაყინის მომხმარებელი, მაგარმ ყველამ ვიცით რომ ძირითადი სეზონი არის ზაფხული. ამიტომ პირველი მოტივაცია, რომ მთელი წლის განმავლობაში გადაიხდის კომპანია იჯარის თანხას ორ ლოკაციაზე."

აზრი გამოთქვეს: დავით ფიფიამ განაცხადა: „წყალი და ა.შ. თუ არის გათვლილი."

აზრი გამოთქვეს: მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსის მოადგილემ **განმარტა:** „ეს ყველაფერი უნდა მოაგვაროს პოტენციურმა მოიჯარემ, აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტს დამატებითი დანახარჯები არ ექნება. ჩვენი მთავარი მოტივაცია ისიც არის, რომ 5 წლის განმავლობაში მოიჯარემ უნდა გადაიხადოს 52 800(ორმოცდათორმეტიათასრვაასილარი) ლარი. 22 კვ.მეტრისთვის ეს საკმაოდ დიდი თანხაა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისთვის. სწორად გამიგეთ, ბიზნესს სჭირდება ვადიანი ხელშეკრულება, რადგან მას ბანკთან აქვთ ურთიერთობა და ვალდებულებები."

აზრი გამოთქვეს: თაზო ფაცაციამ აღნიშნა: „ამ კომპანიას მიწის ნაკვეთს იჯარით ვაძლევთ და არა საკუთრებაში. ბატონო ბესიკ, თუ დაიწყო ბულვარის დაგრძელება და პარკის გაკეთება ყველაფერი რაც განთავსებულია იმ ტერიტორიაზე ასაღები ხომ იქნება?"

აზრი გამოთქვეს: ბესიკ ჭეჟიამ აღნიშნა: „ჩვენ ვფიქრობთ რომ, ნაყინი უნდა იყიდებოდეს ცივილური ფორმით და არა ისე როგორც დღეს იყიდება, და შემდგომში ჩვენ ნელ-ნელა უნდა წავიდეთ იმ მიმართულებით, რომ ბულვარის ტერიტორიაზე არ უნდა იყოს ქოლგები, მაცივრები. უნდა მოიძებნოს ადგილები კოხტა, ლამაზი კონსტრუქციების განსათავსებლად."

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკითხზე

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 1 (დავით ვეკუა).

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით შპს ,,--------“ გაცემისა და ქირის წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე” ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მესამე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 13 ივლისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია საზოგადოებრივი გაერთიანება ,,ზუგდიდი-სოფელ დარჩელის უხუცესთა საბჭო-ს“ ინიციატივა (რეგისტრაციის N19/25231941-25 13.07.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დარჩელის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში მდებარე შინმოუსვლელთა სკვერისა და ობელისკის სახელდებას.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა საზოგადოებრივი გაერთიანება ,,ზუგდიდი-სოფელ დარჩელის უხუცესთა საბჭო-ს“ თავმჯდომარეს ..... კომისიის წევრებს გააცნოს აღნიშნული ინიციატივის შესახებ ინფორმაცია.

აზრი გამოთქვეს: ,,ზუგდიდი-სოფელ დარჩელის უხუცესთა საბჭო-ს“ თავმჯდომარემ **განაცხადა:** „მივესალმები და მადლობა მინდა გადავუხადო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს იმისთვის, რომ მომცა შესაძლებლობა დღეს საკითხი დაგვეყენებინა სიფელ დარჩელის ცენტრში არსებული სკვერისა და ობელისკისათვის სახელის გადარქმევის შესახებ. მე წარმოდგენილი მაქვს სრული დოკუმენტაცია, მაგრამ მოკლედ მოგახსენებთ - სამამულო ომში დარჩელიდან გაწვეული იყო 500-ზე მეტი ვაჟკაცი, მათ შორის 250 ბრძოლის ველზე დაეცა გმირულად. დარჩელის მოსახლეობამ დიდი პატივი მიაგო სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნას. მოწვეულ იქნა საზოგადო კრება, მაშინ კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო ვ.ხ., რომელიც დაინტერესებული იყო სოფლის განვითარების და კეთილდღეობით. იმ პერიოდში სამამაულო ომში დაღუპულთა საპატივცემულოდ პირველი მემორიალი გაკეთდა ჭკადუაშში და მეორე იყო დარჩელში, რომელიც საზოგადო კრების გადაწყვეტილებით სოფლის მოსახლეობის შემოწირული თანხებით გაკეთდა. სამოქალაქო ომის დროს მემორიალი დაზიანდა და დარჩელის პენსიონერებმა ავიღეთ ჩვენს თავზე ინიციატივა და შემოვღობეთ, რაშიც მერიამაც მხარი დაგვიჭრა და 50 000(ორმოცდაათიათასილარი) ლარით დააფინანსა ჩვენი პროექტი და დღეს გვაქვს საუკეთესო და თანამედროვედ მოწყობილი პარკი.

ჩვენ ავიღეთ ნიმუშად თბილისის ვაკის პარკი და დიდების მემორიალი (გვესმის რომ ეს ტერიტორიულად ისედაც დიდია) და შემოვდივართ წინადადებით რომ დარჩელში არსებულ სკვერს ეწოდოს „დარჩელის პარკი და გმირთა მემორიალი“ და არა „დარჩელი სკვერი და გმირთა ობელისკი“. გთხოვთ, რომ მხარი დაგვიჭიროთ ამ ინიციატივის განხორციელებაში.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „მაინტერესებს არსებობს თუ არა რამე დოკუმენტი იმისა, რომ აღნიშნულს თავის დროზე დაერქვა დარჩელის სკვერი და გმირთა ობელისკი. ქალბატონო ---------- (მიმართა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფრსს) სამართლებრივად განგვიმარტეთ როგორ უნდა მოგვარდეს ეს საკითხი პარკისა და მემორიალის სახელდების თაობაზე, რომ უფრო ნათელი და გასაგები იყოს კომისიისთვის.“

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსმა განაცხადა: „მთავრობის დადგენილება, რომლითაც წესრიგდება გეოგრაფიული ობიექტების სახელდება,

როგორც ასეთი პარკის სახელდების უფლება გვაქვს ჩვენ, ხოლო მემორიალზე ამ წესში არ არის საუბარი, მაგრამ რადგან ბატონი გრიგოლი ითხოვს, რომ ამ პარკს ეწოდოს „დარჩელის პარკი და გმირთა მემორიალი“ ამ პარკთან ერთად, ჩვენ მივიღოთ ამაზე გადაწყვეტილება და ეს იქნება პარკის სახელწოდება. შემდეგ ამ გადაწყვეტილებას ჩვენ გავაგზავნით მთავრობის შესაბამის კომისიაში და თუ რაიმე სახის შენიშვნა მივიღებთ კომისიიდან, გავითვალისწინებთ, თუ არადა ამ სახით მივიღებთ.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „დარჩელის უხუცეთა საბჭოს ინიციატივაში პარკის სახელწოდების რამდენიმე ვარიანტია წარმოდგენილი:

1. დარჩელის პარკი და გმირთა მემორიალი:
2. მშვიდობის პარკი და გმირთა მემორიალი;
3. მეგობრობის პარკი და გმირთა მემორიალი;
4. ახალგაზრდობის პარკი და გმირთა მემორიალი;
5. შინმოუსვლელთა პარკი და გმირთა მემორიალი.

რადგან ბატონმა გრიგოლ ჭედიამ თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ სკვერი სახელდებული იყოს როგორც „დარჩელის პარკი და გმირთა მემორიალი“, შემოვდივარ წინადადებით კენჭი ვუყაროთ სკვერის სახელდებას წარმოდგენილი სახელწოდებით.

ბატონო ------, აქვე მინდა გთხოვოთ სანამ დოკუმენტების გადაგზავნა მოხდება შესაბამის უწყებებში, მანამდე წარმოადგინეთ აღნიშნული სკვერის ორთოფოტო და ადგილობრივი მოსახლეობის ხელმოწერები.“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი წინადადებები ან შენიშვნები მესამე საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი „საზოგადოებრივი გაერთიანება ,,ზუგდიდი-სოფელ დარჩელის უხუცესთა საბჭო-ს“ განცხადება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დარჩელის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში მდებარე შინმოუსვლელთა სკვერისა და ობელისკის სახელდების თაობაზე“ დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე შემდეგი სახით-დარჩელის სკვერს ეწოდოს „დარჩელის პარკი და გმირთა მემორიალი“.

კენჭისყრის შედეგად საკითხზე

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 1 (დავით ვეკუა)

გადაწყვიტეს: საკითხზე „საზოგადოებრივი გაერთიანება ,,ზუგდიდი-სოფელ დარჩელის უხუცესთა საბჭო-ს“ ინიციატივა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დარჩელის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში მდებარე შინმოუსვლელთა სკვერისა და ობელისკის სახელდების თაობაზე“ დოკუმენტაციის სრულად მომზადების (ორთოფოტო, ადგილობრივი მოსახლეობის ხელმოწერები) შემდეგ ჩაითვალოს მომზადებულად და დადებითი დასკვნა შესათანხმებლად წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს (გიგა ფარულავას) შემდგომ სამთავრობო კომისიაში გადასაგზავნად.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეოთხე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 26 ივლისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-242320789 მომართვა (რეგისტრაციის N12-25232079-25 26.07.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. ინგირში მდებარე უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის (უპირობო) ფორმით პრივატიზებისას

საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 115-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 26 ივლისის N24-242320789 წერილის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. ინგირში მდებარე 9213,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №43.18.41.420) განმეორებითი ელექტრონული აუქციონის (უპირობო) ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 110 000 (ას ათი ათასი) ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს: მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსის მოადგილემ **განმარტა:** „არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 9 000 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელიც მდებარეობს ინგირში, შარშან იყო გატანილი აუქციონზე 230 000(ორასოცდაათიათასილარი) ლარად, შემდგე ფასდაკლებით 2-ჯერ იქნა გატანილი აუქციონზე 180 000(ასოთხმოციათასილარი) ლარად. ახლა არის 110 000(ასათიათასილარი) ლარი ჩვენი მხრიდან წარმოდგენილი განმეორებით აუქციონზე რომ გავიტანოთ.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „ჩვენ თავიდანვე აღნიშნეთ რომ თავდაპირველი თანხა იყო ძალიან დიდი ამ მიწის ნაკვეთისთვის.“

აზრი გამოთქვეს: ბესიკ ჭეჟიამ განაცხადა: „მინდა განვმარტო, რადგან ხშირად გვაქვს ეს პრობლემა როგორც მერიაში, ასევე საკრებულოშიც. სამწუხაროდ, ვერასოდეს ვერ ვასრულებთ ფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულ შემოსავალს და რატომ-ყოველთვის ვფიქრობთ, რომ რაღაცას ძალიან იაფად ვყიდით. მაგრამ მინდა ერთმანეთისგან განვასხვავოთ ეს თემა. ჩვენ როდესაც აუქციონზე რამე გაგვაქვს, არ ვყიდით მას პირდაპირ, ვაფიქსირებთ საწყის ფასს. როდესაც, დავუშვათ ერთ პირთან მოლაპარაკებით პირდაპირ ვყიდდეთ, გასაგებია თანხას ვაფიქსირებთ და ვაფასებთ სიტუაციას, იაფია თუ ძვირია. მაგრამ, როდესაც ქონება გაგვაქვს აუქციონზე, ამას თავისი წესები აქვს-ჩვენ არ შეგვიძლია ქონება გავიტანოთ პირველად აუქციონზე აუდიტის მიერ შეფასებულ თანხაზე უფრო ნაკლებ ფასად, ჩვენც ვეყრდნობით ამ აუდიტის დასკვნას და ხშირ შემთხვევაში მერიაშიც ანალოგიურად ჩვენ ვმსჯელობთ, როდესაც ვიღებთ გადაწყვეტილებას ამა თუ იმ ობიექტის პრივატიზაციაზე გატანაზე, მას შემდეგ რაც თქვენთან მტკიცდება საპრივატიზაციო ნუსხა და იქ შევა ობიექტი, აუდიტი როცა გვეუბნება რომ კონკრეტული ობიექტის ღირებულება არის გარკვეული თანხა, ჩვენც ვფიქრობთ რატომ მაინცდამაინც აუდიტის შეფასებით გავიტანოთ აუქციონზე, იქნებ მომატებული ფასით მოხდეს გატანა და ბევრჯერ გვაქვს ასე გაკეთებული და გატანილი. ძალიან იშვიათი შემთხვევა ყოფილა აუდიტის მიერ შეფასებულზე ბევრად მეტ თანხაში რომ გაყიდულიყოს ქონება, მაგრამ ჩვენ მაინც ვცდილობთ პირველად გამოვაცხადოთ იმაზე უფრო მაღალ ფასში აუქციონი რა ფასსაც ადებს აუდიტი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში (სოფ.ინგირში მდებარე მიწის ნაკვეთი) როდესაც აუდიტმა შეაფასა ეს მიწა, ბუნებრივია ჩვენც ორიენტირებული ვართ რაც შეიძლება მეტი შემოსავალი მიიღოს მუნიციპალიტეტმა და გამომდინარე აქედან, დავეყრდენით ამ შეფასებას და გავიტანეთ უდიდეს ფასად. პირველ ჯერზე ვერ შედგა აუქციონი, ამის შემდეგ მერიას აქვს უფლება (ზოგადად აუქციონის ჩატარების და ფასის დაკლების პროცედურების განმარტება) საკრებულოსგან თანხმობის გარეშე ერთხელ 50%-მდე დააკლოს ფასი და შემდეგ გაგრძელებული აუქციონზე ისევ გაიტანოს ობიექტი. გამომდინარე აქედან, ჩვენ ხელთ არსებული ყველა ბერკეტი გამოვიყენეთ

და სამწუხაროდ ეს მიწის ნაკვეთი არ იყიდება. ეს არის არასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელიც მდებარეობს ცენტრალური გზიდან ცოტა მოშორებით. ახლა ეს მიწის ნაკვეთი აუქციონზე გასატანად წარმოდგენილი გვაქვს 110 000(ასათიათასილარი) ლარად.“

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხიამ აღნიშნა: „11 ლარი გამოდის კვადრატული მიწის ფასი და ეს ჩემი აზრის იდეალურია იმ ტერიტორიისთვის“.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა მეოთხე საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად

მომხრე: 12

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. ინგირში მდებარე უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის (უპირობო) ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეხუთე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 27 ივლისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423208141 მომართვა (რეგისტრაციის N12-252320812-25 27.07.2023 წ), რომელიც შეეხება ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N42 განკარგულებაში ცვლილებების შეტანას.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა დავით მიქავას კომისიის წევრებს მიაწოდოს ინფორმაცია (ჩაშლილად) საპრივატიზებო ნუსხაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსის მოადგილემ **განმარტა:** „დამტკიცებული ნუსხისა და გეგმის ფარგლებში გამოცხადდა ელექტრონული აუქციონიები და პრივატიზებულ იქნა ნუსხასა და გეგმაში აღნიშნული შემდეგი ქონებები:

პოზიცია 21. ზუგდიდი, სოფ. ჩხორიაში მდებარე 427 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეოდანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა- ნაგებობები N1 საერთო ფართით 198.59 კვ.მ N2 (დანგრეული); N3 (დანგრეული) საკადასტრო კოდი: 43.01.43.412;

პოზიცია 22. ქ. ზუგდიდი, კ. გამსახურდიას ქუჩა N76-ში მდებარე 45.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი: 43.31.68.521;

პოზიცია 23. ქ. ზუგდიდი, ჩიქოვანის ქუჩა N20-ში მდებარე 183.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი: 43.31.42.580;

პოზიცია 24. ქ. ზუგდიდი, სოფ. ინგირში მდებარე 83.0 კვ.მ. არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი: 43.18.47.111;

პოზიცია 25. ზუგდიდი, სოფ.ოქტომბერში 2091,00 კვ.მ არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ის (ორსართულიანი) დემონტაჟი; საკადასტრო კოდი: 43.21.42.127.

პოზიცია 26. ზუგდიდი, სოფ.ინგირში მდებარე 110,00კვ.მ. არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი: 43.18.44.442;

პოზიცია 27. ზუგდიდი, სოფ. ინგირში მდებარე 40,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1; საკადასტრო კოდი: 43.18.47.126

პოზიცია 28. ზუგდიდი, სოფ. ინგირში მდებარე 350,00კვ.მ. არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი:43.18.47.115.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების მიღების მიზნით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საპრივატიზებოდ გატანილ იქნას შემდეგი უძრავ/ მოძრავი ქონებები:

პოზიცია 21. ავტოსატრანსპორტო საშუალება. LEXUS GX470; გამოშვების წელი. 2008წ; საიდენტიფიკაციო ნომერი: JTJBT20X890174112 სახ.ნომერი - VV080VA; (უპირობო წესით პრივატიზება).

პოზიცია 22. ქ. ზუგდიდი, ბესიკის ქუჩაზე მდებარე 182.0 კვ.მ არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი: 43.31.48.463; (პირობებიანი წესით პრივატიზება).

პოზიცია 23. ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქუჩაზე მდებარე 3715,0 კვ.მ. არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი: 43.31.62.675; (უპირობო წესით პრივატიზება).

პოზიცია 24. ქ. ზუგდიდი, კ. გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე 970.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი: 43.31.73.321; (უპირობო წესით პრივატიზება).“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი წინადადებები ან შენიშვნები მეხუთე საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „ნუსხაში შესატანი ქონებები ყველა ერთში რატომ მოაქციეთ, ცალ-ცალკე შემოგეტანათ. თუ აქ წარმოდგენილი 4 ქონებიდან სიტყვაზე 3-ს მხარს ვუჭერ და 1-ს არა კენჭისყრის დროს როგორ უნდა მივიღო გადაწყვეტილება.“

აზრი გამოთქვეს: მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსის მოადგილემ **განმარტა:** „ერთიანად იმიტომ არის წარმოდგენილი, რომ საპრივატიზებო ნუსხა მტკიცდება ერთიანად, ამიტომ გადის ამ ფორმით.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთი კონკრეტულად რა ტერიტორიაზე მდებარეობს.“

აზრი გამოთქვეს: მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსის მოადგილემ **განმარტა:** „აღნიშნული მიწის ნაკვეთი მდებარეობს დევნილთა პოლიკლინიკის ჩასახვევში ბენზინგასამართი სადგური „ვისოლის გვერდით.“

აზრი გამოთქვეს: თაზო ფაცაციამ აღნიშნა: „ქონების სამსახურთან მაქვს შეკითხვა. ამ მიწასთან დაკავშირებით თავის დროზე სამჯერ ვიყავი მერიაში მისული და მითხრეს რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი „ვისოლის“ საკუთრებაა. თუ ეს ასეა, მაშინ ახლა როგორ შედის საპრივატიზებო ნუსხაში.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „არასწორია წარმოდგენილი ქონებების შეტანა ნუსხაში, იმიტომ რომ ქალაქისთვის პრიორიტეტული თემებია. ჩვენ არ გვაქვს თავზე საყრელად ქალაქის ტერიტორიაზე მიწები. დაანაწილეთ, სათითაოდ შემოიტანეთ და ისე ვუყაროთ კენჭი. შეიძლება ერთს დავუჭირო მხარი და მეორეს არა.“

აზრი გამოთქვეს: მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსის მოადგილემ **განმარტა:** „თქვენ ახლაც შეგიძლით ამაზე გადაწყვეტილება მიიღოთ რომელს დაუჭერთ მხარს და რომელს არა, მაგრამ მინდა ერთი განვმარტო- ვინაიდან

მუდმივად არის საუბარი არაფინანსური აქტივების კლებასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტს არ აქვს ის ფუფუნება, რომ ცალცალკე შემოიტანოს ყველა გასაყიდი ობიექტი, ვინაიდან საკრებულოც იკრიბება თვეში ერთხელ ან ორჯერ. ნებისმიერ შემთხვევაში ამას სჭირდება საკრებულოს თანხმობა, რადგან ნუსხას ამტკიცებს საკრებულო. ჩვენ ნუსხაში ცვლილება შემოგვაქვს ერთიანად. ეს არის მიღებული ფორმა."

აზრი გამოთქვეს: დარეჯან გაბედავამ აღნიშნა: „ამ ერთიანი შემოტანით გაგვეპარა ჩვენ მე-6 სკოლის მიმდებარედ ბაღის ტერიტორია, რომელიც საპრივატიზებო ნუსხაში იქნა შეტანილი."

აზრი გამოთქვეს: მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსის მოადგილემ **განმარტა:** „მესმის თქვენი პოზიცია, მაგრამ ჩვენ იმიტომ შემოგვაქვს ერთიანად რომ დამტკიცებული ნუსხის შესაბამიას უნდა გავიტანოთ ქონებები აუქციონზე."

აზრი გამოთქვეს: თაზო ფაცაციამ აღნიშნა: „გამსახურდიას ქუჩაზე არსებული მიწის ნაკვეთი რომ ამოვიღოთ და ისე რომ დაგავმტკიცოთ ნუსხა თუ არის შესაძლებელი."

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა: „საპრივატიზებო ნუსხის განკარგულების პროექტს წარმოდგენილი რედაქციით მთლიანად უნდა ეყაროს კენჭი."

აზრი გამოთქვეს: დავით ფიფიამ აღნიშნა: „რამდენად არის შეფასებული ეს მიწის ნაკვეთები და მანქანა."

აზრი გამოთქვეს: მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსის მოადგილემ **განმარტა:** „მანქანა ლექსუსი შეფასებულია 20 000(ოციათასილარი) ლარად, ჯანაშიას ქუჩაზე არსებული მიწის ნაკვეთი -105 000(ასხუთიათასილარი) ლარად. ეს მიწის ნაკვეთი ემიჯნება კერძო მესაკუთრეს მიწის ნაკვეთს, სადაც განთავსებულია ბეტონის ქარხანა. ეს მიწის ნაკვეთი არის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, იყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და ამის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთად გადაყვანას რთული პროცედურები სჭირდება. ვინაიდან, არის იმის საშიშროება რომ აღნიშნული ორგანიზაციის მიერ მოხდეს მუნიციპალური ქონების დაკავება უნებართვოდ."

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ განაცხადა: „რატომ არსებობს ამ მიწის ნაკვეთის უნებართვოს დაკავების საშიშროება."

აზრი გამოთქვეს: ბესიკ ჭეჟიამ განმარტა: „ამ ტერიტორიის დაკავებით ერთადერთი დაინტერესებული პირი/ორგანიზაცია არის ეს ბლოკის საამქრო. როდესაც ზედამხედველობის სამსახური გავიდა ადგილზე აღმოჩნდა რომ საამქრო ნაწილობრივ სარგებლობს ამ მიწით. მოხდა მისი გაფრთხილება და მისი მხრიდან მოხდა დაკავებული მიწის ნაკვეთის განთავისუფლება (გატანილ იქნა იმ ტერიტორიაზე განთავსებული ბლოკი). ეს მიწის ნაკვეთი არის ფაქტიურად ვიწრო ზოლი, სხვა ამ ტერიტორიას ვერ გამოიყენებს ისევ ამ საამქროს თუ არ მივყიდეთ. ამიტომ შედის ეს მიწის ნაკვეთი ნუსხაში.

რაც შეეხება ბესიკის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთს-მუდმივად არის საუბარი იმაზე, რომ ეს ტერიტორია არის მესტიისკენ მიმავალი ტურისტული ნაკადის შეკრების ადგილი და არის მოუწერიგებელი. ურბანული კომისიის სხდომაზე, სადაც ეს საკითხი განიხილებოდა რამოდენიმე დღის წინ, არ იყო სრულყოფილი გამარტება გაკეთებულ აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით. აღნიშნულ მიწის ნაკვეთს სამი მხრიდან ესაზღვრება კერძო საკუთრება, ხოლო მეოთხე მხარეს არის საფეხმავლო გზა დაახლოებით 12 კვ. მეტრი. ამ გზის მეორე მხარეს არის ე.წ. „გულუას პარკი", რომელსაც არანაირი კავშირი არ აქვს აღნიშნულ მიწის ნაკვეთთან. ეს არის ლანდშაპტური ზონა, რაც იმას ნიშნავს, რომ აქ კაპიტალური ნაგებობის აშენება არ შეიძლება, ერთადერთი რაც მყიდველს შეუძლია მსუბუქი კონსტრუქცია განათავსოს. ჩვენ ვაპირებთ ამ მიწის ნაკვეთის აუქციონზე გატანას პირობით, ანუ ვინც იყიდის ამ მიწის ნაკვეთს უნდა განათავსოს მსუბუქი კონსრტრუქციის ნაგებობა, სადაც ტურისტს შეეძლება დასვენება და ცივილურად დაელოდოს ტრანსპორტს, რადგან ამ ტერიტორიაზე, როგორც აღვნიშნე არის მესტიისკენ მიმავალი ტურისტების შეკრების ადგილი და არის მოუწესრიგებელი."

აზრი გამოთქვეს: მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსის მოადგილემ **განმარტა:** „კომისიის წინა სხდომაზე ეს ტერიტორია უპირობო აუქციონის წესით იყო წარმოდგენილი. ამ ტერიტორიაზე მიწის ნორმატიული ფასი არის 56.7 ლარი, ხოლო აუდიტის დასკვნით 1კვ.მეტრის ფასი არის დაახლოებით 330 ლარი და ამ შეფასების საფუძველზე არის წარმოდგენილი 182 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი 60 000(სამოციათასილარი) ლარად პირობიან აუქციონზე გასატანად."

აზრი გამოთქვეს: დავით ვეკუამ განაცხადა: „გულუას პარკის რეაბილიტაციის შემდეგ საპარკინგე ადგილის საჭიროება რომ წამოიჭრას იმ შემთხვევაში რას ვშვებით თუ ამ ტერიტორიას გავასხვისებთ?"

აზრი გამოთქვეს: ბესიკ ჭეჟამ განმარტა: „გულუას პარკის რეაბილიტაციის შემდეგ იქ ყველგან იქნება პარკინგისთვის საჭირო ადგილი."

ზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ განაცხადა: „ეს ტერიტორია პარკინგისთვის სრულიად გამოუსადეგარია. რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა მოხდეს ამ ტერიტორიის მოწესრიგება, რადგან მართლაც საშინელი მდომარეობაა."

აზრი გამოთქვეს: ბესიკ ჭეჟიამ განმარტა: „ასევე პირობაში იქნება ჩადებული რომ იმ ტერიტორიაზე უნდა მოეწყოს მწვანე ზოლი."

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „მაგალითად თქვენს მიერ წარმოდგენილი ქონებიდან გამსახურდიას ქუჩაზე არსებული მიწის ნაკვეთი დამატებას თუ არ ვეთანხმები, მაშინ როგორ უნდა მოვიქცეთ. მე, ზოგადად წინააღმდეგი ვარ მუნიციპალტეტის საკუთრებაში არსებული ქონება გაიყიდოს, თან ქალაქის ტერიტორიაზე. ამიტომ მერიას მივმართავ თუ მომავალში იქნება მსგავსი საკითხები ქონებებთან დაკავშირებით ცალ-ცალკე რომ შემოვიდეს წინადადებით."

აზრი გამოთქვეს: თაზო ფაცაციამ აღნიშნა: „გამსახურდიას ქუჩასთან დაკავშირებით განვმარტავ. ამ მიწის ნაკვეთის გვერდით არის პოლიკლინიკა. ამ პოლიკლინიკის წინა მხარეს არის კორპუსები, უკანა მხარეს გარაჟები. იქ გვინდოდა სკვერის გაკეთება, მაგრამ გვითხრეს რომ ამ ადგილას სახელმწიფო საკუთრებაში მიწა არ არისო, ახლა აღმოჩნდა რომ ყოფილა მიწის ნაკვეთი სახელმწიფო საკუთრებაში. ამ საკითხთან დაკავშირებით 3-ჯერ ვიყავი მერიაში. მე გეტყვით ახლა რატომ არ მივცემ ამ საკითხს ხმას და ამ მიწის გასხვისებას მხარს არ დავუჭერ. მოსახლეობამ ითხოვა პარკის მოწყობა პოლიკლინიკის გვერდით, რადგან იქ იკრიბებოდა აფაზეთიდან დევნილები, რომლებიც პოლიკლინიკაში მიდიოდნენ. ეს ასევე იყო აფხაზეთის მთავრობის და პოლიკლინიკის დირექტორის თამაზ ჯანაშიას ინიციატივა. ადგილობრივებიც თანახმა იყვნენ, მაგრამ მიწა ვერ მოიძებნა. შემდეგ ითქვა რომ ეს მიწის ნაკვეთი ვისოლი საკუთრებაარ, კიდევ ერთხელ განვმეორდები როგორც გვითხრეს ამ ტერიტროიაზე მიწის ნაკვეთი არ არისო სახელმწიფო კუთვნილებაში. აღმოჩნდა რომ ყოფილა სახელმწიფო საკუთრებაში მიწის ნაკვეთი ამ ტერიტორიაზე, არ ვიცი იქნებ ბოლო მესაკუთრემ გაყიდა. აქედან გამომდინარე, ამოვიღოთ ეს ტერიტორია საპრივატიზებო ნუსხიდან."

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხიამ განაცხადა: „თაზო არასწორი ინფორმაციაა, ეს მიწა სახელმწიფო საკუთრებაა და სახელმწიფოს ხომ არ უყიდია."

აზრი გამოთქვეს: თაზო ფაცაციამ აღნიშნა: „სახელმწიფოს არ უყიდია, სახელმწიფოსი ყოფილი პოლიკლინიკის გვერდით არსებული მიწა, რაც ჩვენ ახლა გვაქვს. ის რომ სახელმწიფო საკუთრება იყო ეს მიწის ნაკვეთი მაშინ ეს არ იყო ცნობილი."

აზრი გამოთქვეს: გიორგი კორტავამ განაცხადა: „თაზო მაგის შემოწმებას ძალიან ადვილი იყო. ინტერნეტში შეგეძლო გენახა ეს მიწის ნაკვეთი სახელმწიფოს საკუთრება იყო თუ არა."

აზრი გამოთქვეს: თაზო ფაცაციამ აღნიშნა: „გასაგებია გიორგი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში პასუხი ასეთი იყო. ახლა ხომ გავიგეთ, რომ სახელმწიფოს საკუთრებაა. ამ ტერიტორიაზე მოვაწყოთ სკვერი ან პარკი, რომელიც საზოგადოებისთვის და ყველასთვის იქნება მისაღები. ეს არის ჩემი წინადადება, რადგან ვიცი იქ მცხოვრებთა აზრი."

აზრი გამოთქვეს: დავით ფიფიამ აღნიშნა: „ამ მიწის ნაკვეთის სიგანე არის მცირე და როგორ გინდა იქ მოაწყო პარკი.“

აზრი გამოთქვეს: თაზო ფაცაციამ განმარტა: „მოსკოვის პროსპექტზე მსგავსი ტერიტორიაზე შესანიშნავი პარკია მოწყობილი.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „მუნიციპალიტეტი დარგავს ხეებს და რეკრეაციულ ზონას მოაწყობს.“

აზრი გამოთქვეს: თაზო ფაცაციამ აღნიშნა: „ამ ქუჩის მოსახლეობას ვკითხოთ თუ უნდათ იქ მიწის გაყიდვა.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი კორტავამ განაცხადა: „მაშინ ყველა საკითხზე უნდა დავიაროთ ქუჩები და მოსახლეობას ვკითხოთ.“

აზრი გამოთქვეს: თაზო ფაცაციამ აღნიშნა: „დიახ გიორგი, სწორედ ამისთვის ვართ ჩვენ აქ მოსახლეობის ნება-სურვილი აღვასრულოთ და ხალხის აზრი გავითვალისწინოთ.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „10 საუკუნის აქეთ ერთი ხე სადაც დგას ის არ აქვთ პრივატიზებული ევროპის ქვეყნებს და ჩვენ რატომ უნდა გავყიდოთ მიწა ისე რომ ხე არ დაირგოს, ისედაც ბეტონით არის სავსე ეს ქალაქი.“

აზრი გამოთქვეს: თაზო ფაცაცია განმარტა: „პარკი და სკვერი იყო იმ ტერიტორიაზე საჭირო. ადრე ამის საშუალება არ იყო, რადგან ამბობდნენ რომ არ იყო მიწის ნაკვეთი. ახლა ხომ გამოჩნდა- არ გავიტანოთ აუქციონზე და მოვაწყოთ პარკი. ეს არის ჩემი პოზიცია.“

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხიამ აღნიშნა: „ბატონო გიორგი, რაც შეეხება გაყიდვებთან დაკავშირებით თქვენს პოზიციას (მიმართა გიორგი სორდიას) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების არ გაყიდვასთან დაკავშირებით, არ გეთანხმებით. მუნიციპალური ქონების არაფინანსური აქტივების კლებაში ბიუჯეტში ჩადებულია 3 700 000(სამიმილიონშვიდასიათასილარი) ლარი, მანამდე იყო 5 000 000(ხუთიმილიონილარი) ლარი, რაზეც ჩვენ ვთქვით, რომ ვერ შეასრულებდა მუნიციპალიტეტი და ჩამოვედით 3 700 000(სამიმილიონშვიდასიათასილარი) ლარამდე, ხომ არ ვცდები ბატონო ბესიკ (მიმართა ბესიკ ჭეჟიას, რომელიც დაეთანხმა), ამჟამად 700 000(შვიდასიათასილარი) ლარის მეტი არ არის შემოსული. როდესაც ნორმალური ფასია მუნიციპალიტეტმა უნდა გაიტანოს ქონება აუქციონზე და ფასებთან მიმართებაში ყველა ვთანხმდებით ზოგან 80 ლარია, ზოგან 329 ლარი, კომბინატშიც ნორმალური ფასია. მუნიციპალიტეტს არა აქვს იმის საშუალება თვითონ ააშენოს ობიექტი.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „მუნიციპალიტეტმა არ უნდა გაყიდოს ქონება შუაგულ ქალაქში.“

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხიამ განაცხადა: „მაშინ მუნიციპალიტეტმა რა უნდა ქნას.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა: „60 000(სამოციათასილარი) ლარი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისთვის არც ისეთი დიდი თანხაა. არც იქით და არც აქეთ.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი კორტავამ აღნიშნა: „60 000(სამოციათასილარი) ლარზე არ არის საუბარი, საუბარია იმ ტერიტორიის განვითარების და მოწესრიგების. მუნიციპალიტეტის განვითარებაზეა საუბარი.

აზრი გამოთქვეს: დავით ვეკუამ განაცხადა: „ტერიტორია რომ გექნება განვითარდება.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „მოვა დრო და განვითარდება.“

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხიამ აღნიშნა: „მე ყველას აზრს პატივს ვცემ, მაგრამ მე ჩემი შეხედულება მაქვს ამ საკითხზე. თავისით არაფერი არ განვითარდება მუნიციპალიტეტში. მერიამ უნდა განავითაროს და გაყიდვის გარეშე მუნიციპალიტეტში თანხა არ შემოვა. მაშინ საერთოდ ნული უნდა გაითვალისწინოთ 2024 წლის ბიუჯეტში არამატერიალური აქტივების კლებაში და არ გავყიდოთ არაფერი. არ გამოვა სხვანაირად რომ არ გაიყიდოს და არ განვითარებულა არც ერთი მუნიციპალიტეტი. არ მაქვს საუბარი მარტო საქართველოზე და შეგიძლიათ თავდ ნახოთ. არ გვაქვს ჩვენ იმდენი თანხა და იმის ფუფუნება რომ ჩვენი თანხებით ავაშენოთ ობიექტები და განვავითაროთ მუნიციპალიტეტი.“

აზრი გამოთქვეს: დავით ვეკუამ აღნიშნა: „გასაგებია, მაგრამ რაც მნიშვნელოვანია იმ საკითხებზე უნდა გვქონდეს ერთი პოზიცია.“

აზრი გამოთქვეს: თაზო ფაცაციამ აღნიშნა: „წარმოდგენილი პროექტიდან ზოგიერთს ვეთანხმებით და ზოგიერთს არა. ქალბატონო ნინო, (მიმართა ნინო დაგარგულიას) მერია არის ერთობლივად შემოსული ამ საკითხებით და რადგან ასეთი სიტუაციაა საკითხს ერთად ვუყაროთ კენჭი თუ ცალ-ცალკე.“

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსმა განმარტა: „წარმოდგენილ განკარგულების პროექტს კენჭი ყველა შემთხვევაში უნდა ვუყაროთ. კომისიის წევრების ნაწილი ერთს უჭერს მხარს, ნაწილი მეორეს. ამიტომ კენჭი წარმოდგენილ პროექტს მთლიანად უნდა ვუყაროთ და რაც არის კომისიის შენიშნვები და წინადადებები ოქმის ამონაწერი გადაეგზავნება მერიას და მერია შემოიტანს ახალ პროექტს. კენჭისყრის დროს რომელი კომისიის წევრს რომელი ობიექტის გატანა უნდა საპრივატიზებოდ ამას ასე ვერ გავითვალისიწინებთ.“

აზრი გამოთქვეს: თაზო ფაცაციამ განაცხადა: „მე მაქვს წინადადება კენჭი ვუყაროთ აღნიშნული საკითხი კომისიის მომდევნო სხდომისთვის რომ გადავიტანოთ.“

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსმა განმარტა: „თუ შემდეგი სხდომისთვის გადავდებთ, რამე შეიცვლება დოკუმენტში? თუ დოკუმენტის შეცვლა გვინდა კომისიის რეკომენდაციები რაც იქნება, რისი შეცვლა გვინდა ოქმში დაფიქსირდება, ოქმის ამონაწერს გავაგზავნით მერიაში და ამონაწერის შეაბამისად მერია წარმოადგენს ახალ პროექტს.“

აზრი გამოთქვეს: დარეჯან გაბედავამ აღნიშნა: „საპრივატიზებო ნუსხაში შესატანი ობიექტები ცალ-ცალკე რომ შემოიტანოს მერიამ?“

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსმა განმარტა: „ნუსხაში შესატან ობიექტებს მერია ცალ-ცალკე ვერ შემოიტანს, რადგან საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხა ერთი დოკუმენტია და ერთობლივად ეყრება კენჭი.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „მესმის რომ საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაა და ერთად წარმოადგინა დოკუმენტი, მაგრამ არ შეიძლება საპრივატიზაციო ნუსხაში ერთად ჩამოყარო საკითხები, სადაც ვერც ერთი ვერ შევთანხმდებით. ელემენტარული ამბავია ლოგიკას რომ მივყვეთ. რას ნიშნავს საპრივატიზაციო ნუსხაა და ამიტომ ყველა ერთად შევიტანე. არ ვართ ერთზე თანახმა, თანახმა ვარ მეორეზე. წარმოადგინეთ ცალ-ცალკე არსად არ გვეჩქარება. ერთ ადგილას მინდა გაიყიდოს მიწას და მოწესრიგდეს, მეორე ადგილას არ მინდა გაიყიდოს, იმიტომ რომ პარკი მინდა იყოს. სამართლებირივად როგორ აისახება ოქმში არ ვიცი. მე ვფიქრობ ეს თემა უნდა ჩავაგდოთ და ცალ-ცალკე უნდა წარმოადგინოს მერიამ ობიექტები.“

აზრი გამოთქვეს: ბესიკ ჭეჟიამ განაცხადა: „ქალბატონო მაია, მაშინ გამოვა, რომ 12 ობიექტზე მეტს ვერ წარმოვადგენთ საპრივატიზაციოდ წლის განმავლობაში, რადგან როგორც წესი საკრებულოს სხდომა იმართება წელიწადში 12-ჯერ. თუ საჭიროება იქნა და მერიამ თუ სათვალა საჭიროდ 20 ობიექტის გაყიდოს ვერ წარმოვადგენთ საკრებულში, იმიტომ რომ ერთი საკითხი უნდა წარმოვადგინოთ მხოლოდ ერთ სხდომაზე.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ განაცხადა: „საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხა ჩვენთან შემოვიდეს ცალ-ცალკე საკითხებად.“

აზრი გამოთქვეს: ბესიკ ჭეჟიამ განაცხადა: „ეს ტექნიკურად შეუძლებელია. 4 საკითხი ცალ-ცალკე უნდა შემოვსულიყავით? როგორც ვთქვი ამ ლოგიკით წლის განმავლობაში მხოლოდ 12 ობიექტი შეგვიძლია წარმოვადგინოთ საპრივატიზაციოდ.“

აზრი გამოთქვეს: თაზო ფაცაციამ აღნიშნა: „სწორი როგორც არის იურისტმა განმარტოს.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხა კომისიაზე შეიძლება თუ არა წარმოდგენილ იქნეს თითო-თითო საკითხებად.“

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსმა განმარტა: "საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხა არის ერთი დოკუმენტი, რომელიც დამტკიცდა 2017 წელს და შემოდის ეტაპობრივად მასში ცვლილება. განკარგულების პროექტი უნდა იყოს ერთი და იქ უნდა იყოს ჩამოთვლილი ყველა საპრივატიზაციო ობიექტი."

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „შეიძლება თუ არა საპრივატიზაციო ნუსხა შემოტანილ იქნეს შემდეგი ფორმით-ერთი საკითხი ერთი ცვლილება, მეორე საკითხი მეორე ცვლილება."

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსმა განმარტა: „საკრებულოს სხდომაზე საპრივატიზაციო ობიექტების ცალ-ცალკე კენჭისყრა არ ხდება. დგება ერთი ნუსხა და ამ ნუსხაში შედის ცვლილება და მას ვუყრით კენჭს. ახლა კომისიის სხდომაზე მერიამ რაც წარმოადგინა იმ პროექტს უნდა ვუყაროთ კენჭი და თუ წინააღმდეგობა იქნება არ გავა საკითხი საკრებულოს სხდომაზე. დღევანდელი კომისიის სხდომის ოქმის ამონაწერს გავაგზავნით მერიაში და აღვნიშნავთ რატომ არ იქნა საკითხი გატანილი საკრებულოს სხდომაზე. შემდეგ მერია წარმოადგენს ახალ განკარგულების პროექტს და ვიმსჯელებთ იმ პროექტზე."

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხიამ აღნიშნა: „ამ საკრებულოს 10 და 15 ობიექტი რამდენჯერ აქვს ერთად მიღებული და ყველა ვინც აქ ვსხედვართ ყველას ხმა მიგვიცია."

აზრი გამოთქვეს: დარეჯან გაბედავამ აღნიშნა: „სწორედ ერთად რომ მივიღეთ, ამიტომ გაიპარა ის ბაღის საკითხი".

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხიამ განაცხადა: „ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, რაც თქვენ და ბატონმა თაზომ აღმოაჩინეთ."

განკარგულების პროექტი ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების თაობაზე" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N42 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ"დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად

მომხრე: 6 (ირაკლი გოგოხია, თამუნა ჯიქია, ჯონი ჯიქია, დავით ფიფია, გიორგი კორტავა, ბეჟან შანავა).

წინააღმდეგი: 6 (გიორგი სორდია, დავით ვეკუა, ლაშა ბეჭვაია, მაია კალანდია, დარეჯან გაბედავა, თაზო ფაცაცია).

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვიტარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის დებულების დამრკიცების შესახებ" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N7 დადგენილების მე-5 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად „კენჭისყრის დროს ხმების თანაბარად გაყოფის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარეს აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება". გიორგი სორდიამ, როგორც კომისიის თავმჯდომარემ და გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე პირმა მხარი არ დაუჭირა საკითხს და შესაბამისად, საკითხზე წინააღმდეგი კომისიის 7 წევრი და მომხრე კომისიის 6 წევრი.

გადაწყვიტეს: ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების თაობაზე" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N42 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" განკარგულების პროექტი ჩაითვალოს მიუღებლად და არ იქნას გატანილი საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეექვსე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 27 ივლისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423208144 მომართვა (რეგისტრაციის N12-252320810-25 27.07.2023წ), რომელიც შეეხება „ქუჩების, შესახვევების და ჩიხების დასახელების და მდებარეობის მანიშნებელი ორმხრივი (ორი ცალკეული აბრა ერთმანეთთან მიერთებით) დიდი აბრის ბოძით“ ნიმუშის (ესკიზი) ცნობად მიღებას.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა მერიის წარმომადგენელს ..... კომისიის წევრებს წარუდგინოს ესკიზი და მიაწოდოს მოკლე ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: დავით ფიფიამ აღნიშნა: „სანამ ..... გააკეთებს განმარტებას მინდა მოგახსენოთ, რომ 2022 წელს შემოვედი სოფლებში საინფორმაციო აბრების დამონტაჟების ინიციატივით, რომელიც ხელს შეუწყობდა როგორც ტურისტებს, ასევე სხვადასხვა სერვისით მომსახურეობისას (სასწრაფო დახმარება, სახანძრო, ტაქსი და.ა.შ.) გაამარტივებს დანიშნულების ადგილზე ოპერატიულად და შედარებით ადვილად მისვლას. მერიიდან ამ საკითხზე დადებითი პასუხი მივიღე, რისთვისაც მადლობას ვუხდი.

რეპლიკა: თამუნა ჯიქიამ აღნიშნა: „აღნიშულ საკითხზე წინა მოწვევის საკრებულოს დროს ქალბატონმა ედიტა კოდუამაც არაერთი მიმართვა და ინიციატივა გააგზავნა მერიაში და ეს ერთობლივი ძალისხმევის შედეგია.“

„..... და მე ამ თემაზე ძალიან ბევრი ვიმუშავეთ და შევთანხმდით ახლა წარმოდგენილ ესკიზზე. ეს არის საინფორმაციო აბრა და იდგმება ქუჩის დასაწყისში და თუ საჭიროებამ მოითხოვა ბოლოშიც. თანხობრივად თითო სოფელზე გამოდის 5 000(ხუთიათასილარი) ლარიდან 20 000(ოციათასილარი) ლარამდე გააჩნია სოფელს. მაგ. ალერტკარისთვის საჭიროა დაახლეობით 5 000(ხუთიათასილარი) ლარი. საპილოტედ პირველ ეტაპზე შერჩეულია ყულიშკარი და მისთვის საჭიროა 32 აბრა. შესაძლებელია ეტაპობრივად ყოველწლიურად 4-5 სოფლის დამისამართება.“

აზრი გამოთქვეს: ჯონი ჯიქიამ განაცხადა: „ყველა სოფლის დამისამართება რა თქმა უნდა ძალიან კარგია და მივესალმები, მაგრამ ამას სავარაუდოდ საკმაოდ დიდი თანხა დასჭირდება.“

აზრი გამოთქვეს: მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის განყოფილების უფრომა **განაცხადა:** „ამ თემაზე შემიძლია განმარტება გავაკეთო-სოფლის მხარდაჭერის პროგრამაში პირდაპირ არის გაწერილი სამისამართო აბრების მოწყობა. მოსახლეობის მიერ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში არჩევის შემთხვევაში მომავალ წელს ყველა სოფელში შესაძლებელია გაკეთდეს სამისამართო აბრები.“

აზრი გამოთქვეს: მერიის მუნიციპალური სერვისების და ბუნებრივი რესურსების განყოფილების უფროსმა **აღნიშნა:** „მარტო სოფლის მხარდაჭერის პროგრამაზე არ არის საკმარისი, აუცილებელია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში უნდა გაიწეროს მუხლი და გამოიყოს ცალკე თანხა სამისამართო აბრების მოწყობისთვის. ქალაქის ტერიტორიაზე განსათავსებელი აბრები 5 წელზე მეტია რაც დამუშავებულია და რამოდენიმე დღეში დასრულდება. კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩაზე იწყება უკვე მონტაჟი. 4 ცენტრალური ქუჩაზე თავისი გადასახვევებით დაახლოებით 82 აბრის დამონტაჟება მოხდება, რომელიც ჩუქურთმებით არის გაფორმებული და ერთი აბრის ღირებულება შეადგენს 820(რვაასოცილარი) ლარს მონტაჟით, თუმცა ტენდერი 650(ექვსასორმოცდაათილარი) ლარამდე ჩამოვიდა. სოფლებისთვის შერჩეული იქნა სადა დიზაინის, საკმაოდ ხილვადი აბრები, რისი შესაძლებლობაც მოგვცა ბიუჯეტმა. აქედან გამომდინარე, ეს აბრები (დიდი აბრები) თავისი მონტაჟით ღირს 350(სამასორმოცდაათილარი) ლარი, რაც საშუალებას მოგვცემს უფრო მეტი სოფელი მოვიცვათ და რაც შეიძლება მოკლე დროში მოხდეს დამისამართება. რაც შეეხება პატარა აბრებს, ცენტრალური ქუჩების დამისამართების შემდეგ (ქუჩის თავში დიდი აბრების განთავსების შემდეგ) სავარაუდოდ საკმარისი იქნება მხოლოდ ნომრების განთავსება. მთელი მუნიციპალიტეტის დამისამართებას როგორც ბატონმა ჯონიმ აღნიშნა დიდი თანხა დასჭირდება, მაგრამ ეტაპობრივად შეიძლება ამ საკითხის მოგვარება.“

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს განუმარტა რომ მეექვსე საკითხი კომისიამ უნდა მიიღოს როგორც ცნობა.

გადაწყვიტეს: საკითხი „ქუჩების, შესახვევების და ჩიხების დასახელების და მდებარეობის მანიშნებელი ორმხრივი (ორი ცალკეული აბრა ერთმანეთთან მიერთებით) დიდი აბრის ბოძით“ ნიმუში (ესკიზი)“ მიღებული იქნა ცნობის სახით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეშვიდე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 2 აგვისტოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-242321416 მომართვა (რეგისტრაციის N12-25232141-25 2.08.2023 წ), რომელიც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონებას.

გიორგი სორდიამ მიმართა მერიის წარმადგენელი ირაკლი ციმაკურიძეს კომისიას განუმარტოს თუ რა ცვლილებები შედის სოფლის მხარდაჭრის პროგარმაში.

აზრი გამოთქვეს: მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის განყოფილების უფრომა **განმარტა:** „სოფლის მხარდაჭერის პროგრამისთვის თავდაპირველად გამოყოფილი იყო 200 000(ორასიათასილარი) ლარი, ამ ეტაპზე თანადაფინანსების თანხა შეადგენს 383 000(სამასოთხმოცდასამიათასილარი) ლარს. აღნიშნული თანხა მობილიზებულია და შესაბამისი ცვლილებების შემდეგ დაკონტრაქტდება პროექტები. ამ ეტაპზე დაკონტრაქტებულია დაახლოებით 35 ხელშეკრულება, შესრულება გვაქვს დაახლოებით 310 000(სამასიათიათასილარი) ლარამდე. ამ ცვლილების შემდეგ დანარჩენი პროექტებზეც დავიწყებთ შემსრულებლების მოძიებას. ნაწილი შემსრულებლების მოძიებულია, უბრალოდ ატვირთული არ არის სპეცილურ პროგრამაში.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „ბატონო ბესიკ, 2021 წლის პროექტებთან დაკავშირებით მაინტერსებს მთლიანაობაში დასრულდა თუ არის დარჩენილი შეუსრულებელი პროექტები?“

აზრი გამოთქვეს: ბესიკ ჭეჟიამ განმარტა: „2021 წლის ყველა პროექტი დასრულებულია, მხოლოდ 2 პროექტზე არის იურიდიული პროცედურები დასასრულებელი. წელს წინა წელთან შედარებით უკეთესი მდგომარეობა გვაქვს, რადგან ადრე დავიწყეთ სოფლის მხარდაჭერის პროექტების პროექტირება, შემდეგ შესაბამისად ფასთა კვლევაზეც ადრე გავიდა. დღეის მდგომარეობით როგორც ბატონმა ირაკლიმ აღნიშნა 35 პროექტი დაკონტრაქტებულია. ახლა მიმდინარეობს შერჩევა-შეფასება. ჩემი ინფორმაციით დაახლოებით 15 პროექტი არის დარჩენილი ისე, რომ დაინტერესება არ არის გამოხატული და ხელახლა ჩავაგდებთ ფასთა კვლევაზე.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განაცხადა, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 31 ივლისის N24-2423212195 წერილის საფუძველზე ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ” ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 7 მარტის N20 განკარგულებაში შეტანილ იქნას ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტები ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად (დანართი თან ერთვის ოქმს).

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ სხვა სახის წინადადება ან შენიშვნა მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად

მომხრე: 12

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „''საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 7 მარტის N20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მერვე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 2 აგვისტოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-242321416 მომართვა (რეგისტრაციის N12-25232141-25 2.08.2023 წ), რომელიც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონებას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „აღნიშნული საკითხი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის რიყეს ადმინისტრაციულ ერთეულში, რიყე - ზედაეწერის (დავით ჯიქიას მე-5 შესახვევი), საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ურბანული კომისიის 2023 წლის 20 ივნისის სხდომაზე იქნა განხილული და საკითხზე კომისიის მხრიდან მიღებული იქნა უარყოფითი გადაწყვეტილება. ბატონო ბესიკ, მაინტერესებს ამ გზასთან დაკავშირებით რამე შეიცვალა თუ იგივე პირობით ხართ შემოსული განსახილველად."

აზრი გამოთქვეს: ბესიკ ჭეჟიამ განმარტა: „ეს გზა მოწონებაზეა შემოსული. ასეთი გზების მოწონებაზე ბევრჯერ შემოსულა მერია საკრებულოში. კარგი იქნებოდა ყველა მოწონებული გზა დაგებული იყოს, მაგრამ დაწყებული და ბოლომდე დაუმთავრებული 16 გზა გვაქვს ზუგდიდში. ამის გარდა, საკრებულოს მიერ სხვადასხვა წლებში მოწონებული პროექტები კიდევ გვაქვს დაახლოებით 18-19, ანუ 35 პროექტი გამზადებული გვაქვს. მოწონება არ ნიშნავს, რომ ის აუცილებლად წელსვე გაკეთდება."

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „ბატონო ბესიკ, ერთი ადამიანი რომ არ ცხოვრობს ისეთი ქუჩის პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდიდან რომ შემოდის გარკვეული თანხით თავისთავად ვიცით რაც ხდება, ამაზე ბევრი ვილაპარაკე და განმარტებას ისევ არ გავაკეთებ. რატომ უნდა დავუჭიროთ მხარი იმ ქუჩის გაკეთებას, სადაც არავინ არ ცხოვრობს."

აზრი გამოთქვეს: თაზო ფაცაციამ აღნიშნა: „მე ვიყავი იმ ადგილზე, ძალიან ცუდი და გაუვალი გზაა, ალბათ თქვენც იქნებოდით და ნახავდით. ეს გზა არის ისტორიული მნიშვნელობის, იქ ზედაეწერის ქარხანა იყო და იმ ქუჩაზე ბოლომდე რომ გახვალთ სამი ოჯახი ცხოვრობს. ეს ქუჩა გადის ე.წ. „საჩიქოვანოს" მოსახვევთან, ჩიქოვანების სახლთან. მერე ეს გზა გადის ტყაიაში და შემდეგ ჩხორიაში. ჩემი აზრით, ზედაეწერის ცენტრი მოწყვეტილი არის მეორე

სოფლის ცენტრს გზა რომ არ არსებობს იმიტომ, მაგრამ მეორე სოფლის ცენტრი უკავშირდება ტყაიას, ტყაია თავისთავად ჩხორიას.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ განაცხადა: „მე დავიწყე იმით, რომ იყოს გზები დაგებული და პროექტები შემოსული, სადაც მჭიდრო მოსახლეობაა. ეს არის პირდაპირ, მიზანმიმართულად შემოტანილი პროექტი.“

ზრი გამოთქვეს: დავით ვეკუამ აღნიშნა: „მე წარმოვადგენ ამ სოფელს, ვცხოვრობ ამ სოფელში და ყველა პრობლემა ვიცი, რაც კი ხდება. ეს არის მოსახლეობის მიერ მოწონებული პროექტი, ყველას უხარია რომ გზა გაკეთდება, იმიტომ რომ ეს გზა სოფელს ყოფს შუაზე და ეს გზა ყველასთვის არის აუცილებელი და სასიხარულოა ამ მასშტაბის პროექტი რომ ხორციელდება და არ მინდა რომ ეს თანხა დაეკარგოს ჩემ სოფელს 2 300 000(ორიმილიონსამასიათასილარი) ლარზეა საუბარი, მოხარული ვარ რაც კეთდება ჩემი სოფლისთვის და მადლობა ამისთვის ინიციატორს, ვინც არ უნდა იყოს. მე არავის ადვოკატად არ გამოვდივარ, მაგრამ აქ რომ გაჟღერდა პიროვნების გვარი (ვინმე ზარქუა) ამ პიროვნების ნაკვეთზე საერთოდ არ გადის ეს გზა.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ განაცხადა: „სწორედ ზარქუას და მანჯაგალაძის მოცვის პლანტაციებზე გადის ეს გზა.“

აზრი გამოთქვეს: დავით ვეკუამ განმარტა: „მანჯგალაძეს მოცვის პლანტაცია ტყაიაში აქვს 7 ჰა-ზე გაშენებული.“

აზრი გამოთქვეს: დარეჯან გაბედავამ აღნიშნა: „ყველაფრის წინააღმდეგ მიდიხართ და დღეს გასაკვირია თქვენი მხარდაჭერა ამ საკითხთან დაკავშირებით.“

აზრი გამოთქვეს: დავით ვეკუამ განმარტა: „ამ გზით ის ადამიანები ისარგებლებენ, ვინც მე მხარი დამიჭირა. შეიძლება სხვა პროექტი გვჭირდება, მაგრამ ვინ მოგვცემს იმის გარანტიას რომ ამ თანხას, რაც გამოყოფილია ამ პროექტისთვის სხვა პროექტში ჩაიდება, ამიტომ რაც გამოყოფილია ის თანხა რატომ უნდა დავუკარგოთ სოფელს.“

აზრი გამოთქვეს: დავით ფიფიამ განაცხადა: „კითხვა მაქვს მერიის წარმომადგენლებთან. წინააღმდეგი არავინ არ არის გზის მშენებლობის, მაგრამ საიდან წამოვიდა წინადადება, რომ კონკრეტულად ის გზა დაიგოს?“

აზრი გამოთქვეს: ბესიკ ჭეჟიამ განმარტა: „კიდევ ერთხელ განვმარტავ-არანაირი გზის დაგებაზე ამ წუთას მსჯელობა არ მიმდინარეობს, საუბარი არის მხოლოდ და მხოლოდ იმაზე, რომ გზის პროექტი, რომელიც არის შექმნილი ოდესმე რომ დაიგოს არის თუ არა მოსაწონი საკრებულოსთვის. ეს ხვალ დაიგება თუ 10 წლის მერე, ზუსტად ვერავინ ვერ გეტყვით, ისევე როგორც მერიაში არსებული ძალიან ბევრი პროექტი, რომლებიც დამხვდა ჩემი იქ მისვლის დროს, რომლებიც 5 წლის წინ არის მოწონებული საკრებულოს მიერ. ჩვენ ვმსჯელობთ იმაზე, მიზანშეწონილად მიაჩნია თუ არა საკრებულოს რომ ოდესმე ეს გზა დაიგოს.“

აზრი გამოთქვეს: დავით ფიფიამ განაცხადა: „ჩვენ რა თანხებსაც ველოდებით რეგიონალური ფონდიდან, როგორც გავიგე ეს გზა ამ თანხებიდან არ კეთდება. ეს არის დამატებით მოძიებული თანხა.“

აზრი გამოთქვეს: ბესიკ ჭეჟიამ განმარტა: „ჩვენ რეგიონალური ფონდიდან გარანტირებულად ველოდებით დაახლოებით 4 000 000(ოთხიმილიონილარი) ლარს, რომელიც გვეკუთვნის ჩვენი შესრულებიდან გამომდინარე, ალბათ ამ თვის ბოლომდე ეს განკარგულება გამოვა. რეგ. ფონდის მეორე ეტაპის თანხები რომ ჩამოვა, ჩვენთვის პრიორიტეტულია და ვაპირებთ დავამთავროთ დაწყებული გზების მშენებლობა, იმიტომ რომ წლები როცა გრძელდება ერთი გზის მშენებლობა ის დამატებით ხარჯებსაც ითხოვს. ასე რომ აქცენტი გვაქვს გადატანილი დაწყებული გზების დამთავრებაზე, რასაც ჯამში 25 000 000(ოცდახუთიმილიონილარი) ლარი სჭირდება.“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ბეჭვაიამ აღნიშნა: „ბატონი დავით ვეკუას პოზიციას სრულიად ვეთანხმები, რადგან ის ვალდებულია დაიცვა თავისი სოფლის ინტერესები. მაგრამ შამგონაში,

გამსახურდიას ქუჩაზე ცხოვრობს 45 ოჯახი, გასაკეთებელია სულ 1 კმ გზა, ხრეშიც არავის არ დაუყრია და ამ გზითაც თუ დაინტერესდებით კარგი იქნება.“

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხიამ აღნიშნა: „როგორც ბატონმა ბესომ აღნიშნა, დღეს აქ ამ გზის უცებ გაკეთებაზე არ არის საუბარი. 2 300 000(ორიმილიონსამსაიათასილარი) ლარის მოპოვება და პროექტების მოწონების შემდეგ ამ თანხის გამოყოფა არ არის მარტივი თემა. თუ მოწონებული არ იქნა პროექტი ჩათვალეთ რომ ეს 2 300 000(ორიმილიონსამსაიათასილარი) ლარი დაკარგული აქვს. ეს მუნიციპალიტეტისთვის დამატებით გამაყოფილი თანხაა. ჩემი მოტივატორი ამ საკითხის მხარდაჭერის არის ის, რომ ამ პროექტის არ მოწონების შემთხვევაში ეს თანხა დაიკარგება მუნიციპალიტეტისთვის და აქედან გამომდინარე, რაც კეთდება მუნიციალიტეტში ყველაფრის მომხრე ვარ.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „გასაგებია რომ მოსახლეობა ითხოვს ამ გზის და მის მიმდებრე გზების გაკეთებასაც და კარგიც არის, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციის პროექტებიც ჩაგემატებინათ და ისე წარმოგედგინათ საკითხი.“

აზრი გამოთქვეს: ბესიკ ჭეჟიამ განმარტა: „გარდა იმისა, რომ თქვენ გაწუხებთ მოსახლეობა, ჩვენთან სისტემატურად შემოდის განცხადებები. ინფორმირებულები ვართ რომ მუნიციპალიტეტში ძალიან ბევრი გზა გვაქვს გასაკეთებელი, მაგრამ სამწუხაროდ ზუგდიდის ბიუჯეტი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ყველა გზა გაკეთდეს. ყოველწლიურად 20-25 პროექტი რომ გაკეთდეს ამას ძალიან დიდი თანხები სჭირდება, რომელიც მუნიციპალური ბიუჯეტიდან უნდა დაიხარჯოს, სწორდე ამიტომ ვერიდებით ხოლმე ბევრი პროექტების გაკეთებას.“

აზრი გამოთქვეს: ჯონი ჯიქიამ აღნიშნა: „გასაგებია ვნებათაღელვა, მაგრამ როდესაც გზის რეაბილიტაციაზე ტენდერები ცხადდება დაახლებით 19% აკლდება, რომელიც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში რჩება და კონკრეტულად ამ გზასთან დაკავშირებით ეს თანხა დაახლოებით 300 000(სამასიათასილარი) ლარი იქნება და ეს თანხა კიდევ ერთს გზას ხომ გაგვიკეთებს. სადაც საქმე კეთდება იქ ჩვენი მოსახლეობაც დასაქმდება ამ ოდენობის თანხის პროექტი განხორციელება რომ დაიწყება მინიმუმ 50 ადგილობრივი ხომ დასაქმდება 3-4 თვით.“

აზრი გამოთქვეს: დავით ფიფიამ აღნიშნა: „გასაგებია, რომ ეს გზა მიკერძოებით კეთდება, მაგრამ თუ როგორც ბატონმა ბესიკმა აღნიშნა ეს ზუგდიდისთვის განკუთვნილი თანხიდან არ კეთდება და დამატებით გამოყოფილი თანხაა, მაშინ მხარს ვუჭერ ამ საკითხს.“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ სხვა სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი „ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად

მომხრე: 8 (ირაკლი გოგოხია, თამუნა ჯიქია, თაზო ფაცაცია, ჯონი ჯიქია, დავით ვეკუა, დავით ფიფია, გიორგი კორტავა, ბეჟან შანავა).

წინააღმდეგი: 4 (გიორგი სორდია, ლაშა ბეჭვაია, მაია კალანდია, დარეჯან გაბედავა,).

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეცხრე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 2 აგვისტოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-242321415 მომართვა (რეგისტრაციის N12-25232142-25 2.08.2023 წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (2021 წლის 17 სექტემბრის აღნაგობის (პირობით) N1 ხელშეკრულების საფუძველზე) მეაღნაგე - ა(ა)იპ ,,რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ცენტრი თანაზიარისთვის" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან განთავისუფლებაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემას.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა არასამთავრობო ორგანიზაცია „თანაზიარი"-ს დირექტორს ..... კომისიის წევრებს მოკლედ მოახსენოს საკითხის შესახებ ინფორმაცია.

აზრი გამოთქვეს: არასამთავრობო ორგანიზაცია „თანაზიარი"-ს დირექტორმა **განმარტა:** „დამსწრე საზოგადოების უმეტესობა ალბათ მიცნობს. ვარ არასამთავრობო ორგანიზაცია „თანაზიარი"-ს დირექტორი. ორგანიზაცია 2000 წლიდან ფუნქციონირებს, რომელიც არის სერვისის მიმწოდებელი. ორგანიზაცია წლების განმავლობაში მუშაობდა და მუშაობს დღემდე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით. მსოფლიოში ყველაზე დიდი საერთაშორისო ორგანიზაცია იყო ჩვენი პარტნიორი და დონორი. ამ მომენტისთვის „თანაზიარს" აქვს 4 ოფისი ესენია ამბულატორია- სამედიცინო ცენტრი, რომელიც ერთადერთია ქვეყნის მასშტაბით, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციამ შექმნა სამედიცინო ცენტრი. წლების განმავლობაში სამედიცინო ცენტრი უფასო მომსახურეობას უწევდა შშმ პირებს, სოციალურად დაუცველ ადამიანებს, ძალადობის მსხვერპლებს და ა.შ. მინდა მცირე მონახაზი გავაკეთო თუ რითი იყო ამ წლების განმავლობაში ორგანიზაცია დაკავებული. ხანდაზმულთა დღის ცენტრი-ეს არის ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად შექმნილი ცენტრი, ეს იყო გერმანული ორგანიზაციის მიერ გრანტით დაფინანსებული პროექტი, რომელიც 2 წლის განმავლობაში 20 ბენეფიციარს ემსახურებოდა. ამ ეტაპზე ეს ცენტრი ზუგდიდის თვითმმართველობის მიერ არის ფინანსურად უზრუნველყოფილი-მუშაობს 4 თანამშრომელი და ემსახურება 18 ბენეფიციარს. ზუგდიდში გავხსენით შშმ პირთა რეაბილიტაციის ცენტრი, რომელიც გამოც დღეს თქვენთან ვიმყოფები -ეს არის პირველი პრეცედენტი ქვეყნის მასშტაბით, როცა შშმ პირს ადგილზე შეუძლია ყველა იმ სერვისის მიღება, რომლის მისაღებად თბილისი უწევდა წასვლა. მადლობა ადგილობრივ თვითმმართველობას, იმისთვის რომ ახალი პროგრამა დაინერგა და ეს არის 18+ ზევით შშმ პირებისთვის მომსახურეობის გაწევა. ამით იმის თქმა მინდა, რომ ორგანიზაცია არის სერვისის მიმწოდებელი, ეს არ არის მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაცია.

რატომ დაგვაჭირდა ის მიწის ნაკვეთი, რომელიც ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა თავის დროზე გამოგვიყო და საკრებულოს განკარგულებით გადმოგვეცა. გასაგებია გადმოგვეცა მიწის ნაკვეთი, ავიღეთ პასუხისმგებლობა და არ შესრულებისთვის დასაჯარიმებელი ვართ, მაგრამ მინდა აგიხსნათ სიტუაცია და მოგასხენოთ თუ რა მოხდა. იმ პერიოდში ჩვენ გვყავდა საერთაშორისო დონორები, USAID -თან გვქონდა ურთიერთობა. ამ პერიოდში ვიმყოფებოდი ქალაქ ატლანტაში და იქ ვნახე თუ რა კეთდებოდა შშმ პირებისთვის, როგორ ემსახურებიან მათ. ჩემი იქ ყოფნის დროს USAID -მა გამოთქვა სურვილი პერსონალის გადამზადების და სუპერვიზიაზე ჩამოვიდონენ მემორის უნივერსიტეტის თანამშროლები. 3 წლის განმავლობაში ეს ადამიანები დადიოდნენ და აკვირდებოდნენ რას ვაკეთებდით ჩვენ. ყველა ის სპეციალისტი, რომელიც მუშაობს ჩვენთან არის აკადემიური განათლებით და მათ ნახეს რომ ეს პერსონალი არის მზად განვითარებისთვის, მიმღებლობისთვის მიიღეს გადაწყვეტილება მატერიალური დახმარება

გაეწიათ ორგანიზაციისთვის. გარკვეული ტექნიკა ამერიკის შეერთებული შტატებიდან გამოგვიგზავნეს და ბოლო შეხვედრაზე, როდესაც მონიტორინგზე იყვნენ ჩამოსულები საბოლოო შეფასებისთვის მათგან წამოვიდა კითხვა თუ რა გვჭირდებოდა კიდევ. პირველი ჩვენი თხოვნა იყო მანქანა-ჩვენ დავიწყეთ მომსახურეობა 2 ადამიანით და იმ მომენტისთვის ჩვენ ვემსახურებოდით 50 ბენეფიციარს (შშმ ბავშვები და მოზრდილი შშმ პირები 18 წელს ზემოთ), ასევე ჩვენ გვჭირდებოდა ადაპტირებული მანქანა, რომელიც მოემსახურებოდა შშმ პირებს, არა მარტო სამედიცინო ცენტრებში მისაყვანად, არამედ სხვა სერვისების მისაღებად და ზოგადად სოციალიზაციისთვის. ახლა ასეთი მანქანები უკვე ჩამოყვანილია ზუგდიდში და კიდევ ერთხელ მადლობას გადავუხდი თვითმმართველობას იმისათვის, რომ ეს მანქანები ემსახურება ჩვენ ბენეფიციარებს, და მეორე იყო შენობის აშენება, რადგან არ გვყოფნიდა არსებული შენობა. USAID-ის მხრიდან იქნა ასეთი წინადადება წამოყენებული, თუ ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან იქნება ნება და ისინი მხარდაჭერას გამოგიცხადებენ და უზუფრუქტის ფორმით გადმოგცემენ მიწას გარკვეული პერიოდით და არა 1 ან 2 წლით, ჩვენ მზად ვართ აგიშენოთ შენობა. ჩვენ მივმართეთ მერიას, მერიის მხრიდან საკითხის შესწავლის, გადამოწმების და შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ ჩვენ გადმოგვეცა მიწის ნაკვეთი აღნაგობის უფლებით. იმ პერიოდისთვის ჩვენი დონორი მხოლოდ USAID არ იყო, ასევე ჩვენი დონორი იყო იაპონიის საელჩო, რომლის დახმარებითაც ჩვენ 110 000(ასათიათასიდოლარი) დოლარის ღირებულების სამედიცინო ტექნიკა შევიტანეთ ზუგდიდის სამედიცინო ცენტრში, ამის გარდა დავუკავშირდით საერთაშორისო ორგანიზცია ADRA-ს. ეს არის შუამავალი ორგანიზაცია, რომელიც ეძებს მსოფლიოს მასშტაბით დიდ დონორებს, ჩამოყავს ქვეყანაში და არა ერთი საქმე გაუკეთებია ADRA-ს. პარალელურ რეჟიმში ADRA-საც მივწერეთ და ვთხოვეთ დახმარება გაეწიათ ჩვენთვის, იმიტომ რომ ზუგდიდი არის საზღვრისპირა რეგიონი, ძალიან ბევრი დევნილი გადმოდის დეფაქტო აფხაზეთის ტერიტორიიდან და დღემდე გვყავს ჩვენ ასეთი ბენეფიციარები და საჭირო იყო მათთვის შენობის აშენება რამოდენიმე სასტუმრო ოთახით, ისეთივე იდენტური როგორიც ატლანტაში ვნახეთ თავისი აუზით, სავარჯიშო ოთახით, ინვენტარით და ა.შ. ADRA დაინტერესდა ჩვენი ორგანიზაციით, ჩამოვიდნენ, ადგილზე ნახეს ყველაფერი და გარკვეული პერიოდის შემდეგ მათი მხრიდან გამოგზავნილ იქნა ინჟინრების ჯგუფი. ეს ყველაფერი ხდებოდა 2022 წლის დასაწყისში. ინჟინრებმა ნახეს ტერიტორია, შექმნეს ესკიზი. გასული წლის აგვისტოს თვის დასაწყისში ADRA-სგან მოვიდა პასუხი, სადაც საუბარი იყო 600 000(ექვსასიათასიდოლარი) დოლარზე და ასევე იყო აღნიშნული რომ პანდემიის გამო პარტნიორი ორგანიზაციის მხრიდან მოხდა თავშეკავება ამ ეტაპზე მაგრამ, ასევე იყო მათი მხრიდან თხოვნა რომ არ დაგვებრუნებინა ეს მიწის ნაკვეთი მუნიციპალიტეტისთვის და როგორმე შეგვენარჩუნებინა, იმიტომ რომ 2023 წლის ზაფხულში იგეგმება დონორთა დიდი შეხვედრა და იქ განვიხილავთ თქვენ საკითხს. თქვენი საკითხი ამ ეტაპზე გადავდეთ გვერდზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს არას. ამით დამთავრდა ჩვენი ურთიერთობა დონორებთან იპ პერიოდში, რადგან ჩვენ დაპირება ყველასგან გვქონდა. ამ ეტაპზე იაპონიის საელჩისთან გვაქვს გაგზავნილი პროექტი და ველოდებით პასუხს. ხელშეკრულების ერთ-ერთ მუხლში იყო ჩაწერილი რომ ფორსმაჟორული სიტუციისას მეიჯარე თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან და ხელშეკრულების მეორე მუხლის თანახმად მე უნდა მიმეღო წერილობითი შეტყობინება. რადგან პანდემია იყო მე ჩავთვალე რომ მერია ეს გაითვალისწინა. მე ახლაც ვაცხადებ, რომ ორგანიზაცია იქნება, პიროვნება თუ ბიზნესი როცა აიღებ პასუხისმგებლობას უნდა შეასრულო. მაგრამ, იმის გათვალისწინებით, რომ ეს ორგანიზაცია არის სერვისის მიმწოდებელი, ეს არ არის მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაცია, 23 წლის განმავლობაში ბევრი რამე გაუკეთებია „თანაზიარს“ და თხოვნით მოგმართავთ თითოეულ თქვენთაგანს, რომ ჩამოაწროთ ეს ჯარიმა ორგანიზაციას, რადგან სხვა გამოსავალი ორგანიზაციას არ აქვს, სხვა შემთხვევაში ყველა ოფისი უნდა დახუროს და ჯარიმა იმ მატერიალური ტექნიკით უნდა გადაიხადოს რაც გააჩნია, სხვა სახსრებით

ორგანიზაცია მუნიციპალიტეტის მიერ დაკისრებულ ჯარიმას ვერ გადაიხდის. ყოველდღიურად ჯარიმა 220 ლარით იზრდება. ორგანიზაცია რა შემოსავალსაც იღებს, იმას ხარჯავს და შესაბამისად ჯარიმის გადახდას ვერ მოახერხებს. ყველაფერი ამის გათვალისწინებით გთხოვთ მიიღოთ გადაწყვეტილება რომელსაც თქვენ ჩათვლით სწორად."

აზრი გამოთქვეს: თამუნა ჯიქიამ აღნიშნა: „თუ თქვენ დღეს ეს ჯარიმამ ჩამოგეწერათ შემდგომში როგორ იქნება მდგომარეობა."

აზრი გამოთქვეს: არასამთავრობო ორგანიზაცია „თანაზიარი"-ს დირექტორმა **განმარტა:** „მე მერიას განცხადებით მივმართე ჯარიმის ჩამოწერით, რომელიც ყოველდღიურად იზრდება და უარს ვაცხადებ ამ ხელშეკრულებაზე."

აზრი გამოთქვეს: თამუნა ჯიქიამ აღნიშნა: „თუ უარს იტყვით ხელშეკრულებაზე იმ აღნიშნული შენობის აშენების საკითხი როგორ იქნება?"

აზრი გამოთქვეს: არასამთავრობო ორგანიზაცია „თანაზიარი"-ს დირექტორმა **განაცხადა:** „მე დღეს უარს ვაცხადებ ამ ხელშეკრულებაზე, ეს არ ნიშნავს რომ უარს ვაცხადებ დონორებთან ურთიერთობაზე, მე რა შენობაც ვნახე ატლანტაში მინდა რომ ისეთივე შენობა იყოს ზუგდიდშიც და ყველაფერს გავაკეთებ ამისთვის. მე არ ვაცხადებ უარს თვითმმართველობასთან ურთიერთობაზე. ამ შენობას მე ერთ თვეში ვერ ავაშენებ და ჯარიმები ისევ გაიზრდება. ამიტომ ჩემი თხოვნაა ჯარიმა ჩამაწეროთ და ხელშეკრულება გამიუქმოთ."

აზრი გამოთქვეს: დავით ვეკუამ აღნიშნა: „რა რაოდენობის თანხაზეა საუბარი?"

აზრი გამოთქვეს: არასამთავრობო ორგანიზაცია „თანაზიარი"-ს დირექტორმა **განაცხადა:** „44 000(ორმოცდაოთხიათასილარი) ლარს დამატებული 220(ორასოცილარი) ლარი ყოველდღიურ ჯარიმები."

აზრი გამოთქვეს: დავით ფიფიამ აღნიშნა: „აქამდე რატომ არ შემოიტანეთ განცხადება თუ ვერ ასრულებდით პირობებს?"

აზრი გამოთქვეს: არასამთავრობო ორგანიზაცია „თანაზიარი"-ს დირექტორმა **განმარტა:** „2022 წლის დეკემბრის თვეში დაუმთავრდა ამ ხელშეკრულებას ვადა. რადგან ხელშეკრულებაში წერია რომ ფორსმაჟორული სიტუაციის დროს მხარე ვალდებულებისგან თავისუფლდება და მეორე მუხლი, რაზეც ალბათ მერიის წარმომადგენლებიც იტყვიან, რომელიც ავალდებულებს მერიას ჩემთვის წერილობითი შეტყობინების გამოგზავნის, სანამ ჯარიმების დარიცხვა დაიწყებოდა. „თანაზიარს" ქონდა ვალდებულება შენობის აშენების, რომელიც არ ააშენა, მაგრამ წერილობითი შეტყობინება მე მერიისგან არ მიმიღია. რადგან პანდემია იყო, რომელიც მე მათავისუფლებდა ამ პასუხისმგებლობისგან, მე ჩავთვალე რომ მერიამ ეს გათვალისწინა და სწორედ ამის გამო არ მომივიდა ჯარიმა. ჯარიმის პირველი წერილი 33 000(ოცდაცამეტიათასილარი) ლარიანი მე მივიღე მიმდინარე წლის ივნისის თვეში, მანამდე მე არანაირი შეტყობინება არ მიმიღია მერიისგან."

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „ჩვენ ყველა მეტ-ნაკლებად ვიცნობთ ..... და „თანაზიარის" საქმიანობას. .....რაც ისაუბრა, იმაზე მეტიც აქვს გაკეთებული. ზოგადად, როდესაც სოციალური პროექტი კეთდება პასუხისმგებლობა გვაქვს თითოეულ ჩვენგანს, მითუმეტეს ადგილობრივ თვითმმართველობას. ყველა ხელშეკრულებას აქვს ფორსმაჟორი. ფორსმაჟირი, რომელიც შეიქმნა 2021-2022 წლებში ეს იყო მსოფლიო პანდემია და ამ დროს ყველას რაღაც გარკვეული გადათამაშება მოუწია. ყველას წინაშე შეიქმნა გარკვეული ტიპის პრობლემები, პრობლემები შეექმნა როგორც ფიზიკურ პირებს, ასევე ბიზნეს, საერთაშორისო ორგანიზაციებსაც და პირველ რიგში სოციალურ პროექტებს, რომელმაც დააზარალა ბევრი ადამიანი. ჩემი აზრით და ალბათ ყველანი ვთანხმდებით არც კი ექვემდებარება განხილვას აღნიშნული ვალდებულების ჩამოწერა. მე შემოვდივარ წინადადებით, რადგან ვიცი ზოგადად რასაც ითხოვენ საერთაშორისო ორგანიზაციები, არ ვიცი რა ფორმით და როგორ, „თანაზიარს" უნდა დარჩეს ეს მიწა მინიმუმ 6 თვე, ჩამოეწეროს ჯარიმები იმისათვის, რომ

მან იპოზიციონეროს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომ ეს სოციალური სახლი მან ააშენოს და ქალაქს ქონდეს ის, რასაც სახელმწიფო ვერ გააკეთებს.“

აზრი გამოთქვეს: თაზო ფაცაციამ აღნიშნა: „ ....., ამ მიწასთან დაკავშირებით ასეთი კაბალური პირობა რატომ არის ჩაწერილი ამას ვერ მივხვდი. არასამთავრობო ორგანიზაციებს ჩვენ ყოველთვის ვაძლევდით მიწას, მაგრამ ასეთ პირობებს არასდროს არ ვუდებდით. რატომ დათანხმდით ასეთ პირობებს, მე მაგალითად არ დავთანხმდებოდი, რადგან პირიქით ქალაქში ასეთი ინვესტიცია შემომაქვს დონორი ორგანიზაციების დახმარებით და მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობა მინიმუმ მარტივ თემაში უნდა ყოფილიყო და არა პირიქით, ჯარიმის დარიცხვით დამმუქრებოდა.“

აზრი გამოთქვეს: მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსის მოადგილემ **განმარტა:** „ხელშეკრულების პირობები ფორმდება კანონმდებლობის შესაბამისად, ანუ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი და 269 დადგენილება, სადაც გაწერილი როგორ უნდა გაფორმდეს იჯარის, აღნაგობის, ქირავნობის თუ სხვა სახის ხელშეკრულებები და იქ არის მოთხოვნა 0.1% ამ კონკრეტულ შემთხვევაში იყო განსახორციელებელი საინვესტიციო ვალდებულების, მაგრამ არა ნაკლებ 5 ლარისა. დათვლილ იქნა შესაბამისი სამსახური მიერ და სამწუხარო ამან შეადგინა 220 ლარი ყოველდღიურად, რომელიც დღესაც ყოველდღიურად ემატება. ეს მიწის ნაკვეთი სიმბოლურ ფასად, 1 ლარად იყო გადაცემული. ვალდებულებაში იყო გაწერილი 220 000(ორასოცდათასილარი) ლარის ინვესტიცია აშენების და 300 000(სამასიათასილარი) ლარით შენობის აღჭურვა. ვადა იყო მითითებული 2022 წლის 31 დეკემბერის ჩათვლით, ასევე ეს ხელშეკრულება გაფორმდა 2021 წლის 17 სექტემბერს. ყველა პოზიცია გასაგებია, ფორსმაჟორსაც ხელშეკრულება ითვალისწინებს, მაგრამ არსი ერთი რამ, ფორსმაჟორი თავისით არ ამუშვდება, თუ დაინტერესებული ერთ-ერთი მხარის მიერ არ დადგება შესაბამისი ინიციატივა. აქ შეიძლება იყო პატარა კომუნიკაციის პრობლემა, მაგრამ ეს არის გასათვალისწინებელი პირობა. შესაბამისად ..... განცხადება დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების შესახებ აღმასრულებელმა ორგანომ გაიზიარა და ე.წ. შუამდგომლობოს წესით შემოვედით განკარგულების პროექტით დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების შესახებ. ორგანიზაციის პოზიციაც ის იყო, რომ ამასთან ერთად შეწყდეს შესაბამისი კონტრაქტი. ჩვენ მივიღებთ შესაბამის გადაწყვეტილებას, იმის შემდეგ რა გადაწყვეტილებას მიიღებს საკრებულო და დადგენილი წესის შესაბამისად, მივმართავთ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აღნიშნული ხელშეკრულების გაუქმების შესახებ.“

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხიამ აღნიშნა: „მადლობა ბატონ დავითს ამომწურავი ინფორმაციისთვის. რაც შეეხება ორგანიზაციის ჯარიმებისგან გათავისუფლებას, აბსოლიტურად ვეთანხმები. რაც შეეხება ხელშეკრულებას, ... დაზუსტებულ პასუხს ვერ იტყვის ეს 1 თვეში თუ 6 თვეში აშენდება, ამიტომ უმჯობესია მიწა დააბრუნოს, მერიას ალბათ გათვალისწინებული ექნება თუ ყველაფერი მოგვარდება და ისევ მოხდება ხელშეკრულების გაფორმება.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, „საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ე“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში მიღებული ა(ა)იპ ,,რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ცენტრი თანაზიარის“ თავმჯდომარის ..... 2023 წლის 26 ივლისის N49 წერილის (რეგისტრ. N10/242320749-24; 26.07.2023) და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 2 აგვისტოს N24-

242321415 წერილის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით აღნაგობის (პირობით) ფორმით გაცემული უძრავი ქონების (მის: ქალაქი ზუგდიდი, გამსახურდიას ქუჩის ,,მეორე" შესახვევში მდებარე 600,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N43.31.73.431)) მეაღნაგე - ა(ა)იპ ,,რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ცენტრი თანაზიარი" (ს/ნ 220341841) განთავისუფლდეს 2021 წლის 17 სექტემბრის აღნაგობის (პირობით) N1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ სხვა სახის წინადადება ან შენიშვნა მეცხრე საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად

მომხრე: 12

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (2021 წლის 17 სექტემბრის აღნაგობის (პირობით) N1 ხელშეკრულების საფუძველზე) მეაღნაგე - ა(ა)იპ ,,რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ცენტრი თანაზიარისთვის" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან განთავისუფლებაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე" ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეათე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 2 აგვისტოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-242321414 მომართვა (რეგისტრაციის N12-25232143-25 2.08.2023 წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრის" ბალანსზე რიცხული მოძრვი ქონების (მუყაოს ქაღალდის) განმეორებითი ელექტრონული აუქციონის (უპირობო) ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრისათვის" თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის", „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 07 დეკემბრის N94 დადგენილების, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის ოქმის N12 (01.08.2023წ) და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 2 აგვისტოს N24-242321414 წერილის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრს", მის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების (მუყაოს ქაღალდი) განმეორებითი ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზებისას ერთი კგ. მუყაოს ქაღალდის საწყისი საპრივატიზებო საფასურის ოდენობა განისაზღვროს 0,17 ლარით.

აზრი გამოთქვეს: დირექტორის მოადგილემ განმარტა: „ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ მუყაოსთან დაკავშირებით. ზუგდიდში 5-6 თვეა მუყაოს შეგროვების საპილოტე პროგრამა მუშაობს, რომელიც არის გერმანიის საელჩოსთან ერთად დაფინანსებული. ეს საპილოტე პროგრამა საქართველოში სულ ორ ქალაქში მიმდინარეობს ზუგდიდში და თელავში, სადაც ზუგდიდი ძალიან წარმატებულად ართმევს თავს მუყაოს შეგროვებას. ზოგადად, ნაგავში ქაღალდის წილი 5%-ია და აქედან პროგრამულად გაწერილია რომ 2026 წლისთვის ნაგავიდან ამ 5%-დან 50% თუ იქნას გატანილი, ეს იქნება ძალიან დიდი წარმატება. დღეის მდგომარეობით ზუგდიდი ასრულებს 23%-ს ამ რაოდენობიდან. ახლანდელი მონაცემებით სეპარირების შედაგად შეგროვებული მუყაოს რეალიზაცია არ არის დაწყებული, ამიტომაც უფრო მეტი სეპარირებისგან თავს ვიკავებთ, თუმცა შეგვიძლია უფრო მაღალ პროცენტზეც შეგვიძლია გავიდეთ (ყოველდღიურად ხდება 1 ტონა მუყაოს სეპარირება). რა აფერხებს რეალიზაციისა და სეპარირიების პროცესის შეფერხებას-თავის დროს აუდიტმა სეპარირებული მუყაო შეაფასა 35 თეთრად, თუმცა არ ვიცი შეფასების პროცესში გათვალისწინებული იყო თუ არა მუყაოს სახეობა და ხარისხი, რადგან ბაზარზე არის ორი სახეობის მუყაო-თეთრი მუყაო და ე.წ. კარდონი. თეთრ მუყაოზე უფრო მეტი მოთხოვნაა და შესაბამისად ფასიც უფრო მაღალია. ჩვენ მიერ სეპარირებული მუყაოდან 97% არის კარდონი, რომლის ღირებულებაც არის ბევრად უფრო დაბალი ფასი. თანაც დაემთხვა ისიც, რომ ამის გატანას ოპერირებს თურქეთი და რეგიონში პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე (ომი უკრაიონაში) ნაკლებია მოთხოვნა მუყაოზე. თურქეთს საქართველოში რამდენიმე კომოპანი აქვთ, რომლებიც ამ მიმართულებით მუშაობენ. პირველ ეტაპზე ჩვენ მუყაო აუქციონზე გავიტანეთ 35 თეთრად, თუმცა აუქციონი არ ჩატარდა, ჩვენ შეგვეძლო 50% ფასის დაკლებით გაგვეტანა, მაგრამ 20% დავაკელით და 28 თეთრად გავიტანეთ მეორედ, თუმცა ამ ჯერზეც ჩავარდა აუქციონი. აუქციონი სამჯერ ჩაგვივარდა და ამიტომ საკრებულოს ნებართვა გვჭირდება რომ 17 თეთრად გავიტანოთ აუქციონზე, რადგანაც ამ ეტაპზე უკვე ადგილი არ გვაქვს შესანახად, თანაც გაგვიფუჭდება, რადგან შენახვასაც შესაბამისი პირობებიც (ტემპერატურა) სჭირდება და სხვა პირობებში ვერ შევინახავთ.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „დათვლილი გაქვთ თუ რა რაოდენობის თანხა უნდა შემოვიდეს ამ მუყაოს გაყიდვით.“

აზრი გამოთქვეს: შესყიდვების განყოფილების უფროსმა განმარტა: „ეს არის საპილოტე პროგრამა და წინასწარ რამე გარკვეულ თანხაზე გათვლა არ გვქონია. ჩვენი მიზანი პირველ ეტაპზე იყო შეგვეროვენიბა მუყაო და გავსულიყავით ბაზარზე, თუ რა თანხად გავიდოდა. ამ ეტაპზე გვაქვს 100 ტონა და სავარაუდოდ 18 000-20 000 ლარამდე იქნება შემოსავალი მისი გაყიდვის შემთხვევაში.“

აზრი გამოთქვეს: დირექტორის მოადგილემ განმარტა: „გარდა შემოსავლისა, უნდა ვიფიქროთ გარემოს დაცვაზეც. ასევე, როგორც იცით ნაგავსაყრელზე ნაგავის შეტანაზე გარკვეული თანხაა გადასახდელი და სეპარირების შედეგად ნაგავს გარკვეული რაოდენობა აკლდება და შესაბამისად თანხაც ნაკლები იქნება გადასახდელი. კიდევ დავამატებ, როგორც კი მოხდება მუყაოს რეალიზება დავიწყებთ პლასტმასის სეპარირებასაც, დღეის მდგომარეობით ვერ ვიწყებთ რადგან ადგილი შესანახი არ გვაქვს .“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „სად გაქვთ დასაწყობებული შეგროვებული მუყაო?“

აზრი გამოთქვეს: შესყიდვების განყოფილების უფროსმა განმარტა: „საწყობი ვიქირავეთ საპატრულო პოლიციის წინ მდებარე თხილის ქარხნის მეპატრონისგან თვეში 1000(ათასილარი) ლარად 800 კვ.მეტრი ფართობი.“

აზრი გამოთქვეს: დავით ფიფიამ აღნიშნა: „თქვენს მიერ გამოცხადებულ აუქციონში მიიღო თუ არა ვინმემ მონაწილეობა?“

აზრი გამოთქვეს: შესყიდვების განყოფილების უფროსმა განმარტა: „აუქციონის დროს ნახვები იყო მაგრამ მონაწილეობა არავის არ მიუღია.“

აზრი გამოთქვეს: დავით ფიფიამ განაცხადა: „მუნიციპალიტეტს არ აქვს რამე ფართი რომ ეს სეპარირებული მუყაო დაასაწყობოს და კერძო პირისგან ფართის დაქირავება არ იყოს საჭირო.“

აზრი გამოთქვეს: ბესიკ ჭეჟიამ განმარტა: „ამას სპეციალური პირობების მქონე ფართი სჭირდება გარკვეული ტემპერატურის კონტროლით და პირობებით. მსგავსი ფართი მუნიციპალიტეტს არ აქვს. ჩვენი მიზანია რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს უკვე შეგროვებული მუყაოს გაყიდვა.“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ სხვა სახის წინადადება ან შენიშვნა მეათე საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად

მომხრე: 12

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრის“ ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების (მუყაოს ქაღალდის) განმეორებითი ელექტრონული აუქციონის (უპირობო) ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრისათვის“ (ს/ნ 220415414) თანხმობის მიცემის თაობაზე“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით წინადადებები არ გამოთქმულა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა
და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გიორგი სორდია

ხელმოწერილია